საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

წლიური ანგარიში 2013

იანვარი

საქართველოს ქულა „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ - 6

შარეკი - 6

თებერვალი

2013 წლის სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი საქართველოს შედეგები - 8

რამდენად თავისუფალია ინტერნეტი საქართველოში - 8

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა - 9

„100 დღე ხელისუფლებაში: კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“ - 9

იცით, ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003–2012 წლებში? - 10

მარტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი - 12

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა რობლემები და რეკომენდაციები - 12

საქართველოს ფინანსთა მინისტრი „საქართველოს ფოსტას“ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს - 13

2013 წლის საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კონკურსი - 14

აპრილი

2 აპრილი – სასამართლო მონიტორინგის მეორე ანგარიშის პრეზენტაცია - 16

როგორ ფინანსდებიან პოლიტიკური პარტიები - 17

BBC-ის კორესპონდენტის, დენ დეიმონის, სამუშაო შეხვედრა ქართველ ჟურნალისტებთან - 17

ქუთაისის ოფისი - საქმიანობა - 18

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ რადიო „ძველი ქალაქის“ ეთერში - 19

შეხვედრები - 20

მაისი

„ფარული თვალთვალი და პირადი მონაცემების დაცვა: მთავარი გამოწვევები“ - 22

ნუ გვისმენთ! ფარული მიყურადება და თვალთვალი საქართველოში - 23

„აქტიური მოქალაქე – ანგარიშვალდებული მთავრობა“ სტუდენტური კონკურსი საუკეთესო ესეის გამოსავლენად - 24

ივნისი

ჩვენ დავიღალეთ SMS სპამის მიღებით! თქვენ? - 26

28 ივნისი - რამდენად კონკურენტულია საქართველოს სარეკლამო ბაზარი - 28

ივლისი

9 ივლისი – გლობალური კორუფციის ბარომეტრი - 30

15 ივლისი - საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის პრეზენტაცია - 31

ზუგდიდის ოფისი - საქმიანობა - 32

შეხვედრები სოფლებში - 33

ორგანიზაციის სტუმრები - 33

გვისმინეთ სამეგრელოში 105.9 FM-ზე ან www.radioatinati.ge ზე! - 34

აგვისტო

სტაჟიორები ორგანიზაციის ოფისებში - 36

კარიერა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ - 38

სექტემბერი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მზადება საპრეზიდენტო არჩევნების დღის მონიტორინგისთვის; ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისია - 40

ციფრული მაუწყებლობა: საქართველოს რეალობა 2015 წლიდან - 40

დავიცვათ დედაქალაქის მწვანე საფარი! - 41

ბათუმის ოფისი ორგანიზაციის სტუმრები - 42

ოქტომბერი

27 ოქტომბერი საპრეზიდენტო არჩევნები - 44

ნოემბერი

ნამდვილი ამბები ორგანიზაციის წარმატებული საქმეები - 46 - 58

დეკემბერი

3–9 დეკემბერი ანტიკორუფციული კვირეული - 60

მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების გადავადება - 60

სამუშაო შეხვედრები რეგიონულ ჟურნალისტებთან - 61

მედიაგუნდი სტუმრად რეგიონულ მედიასაშუალებებთან - 62

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოს პარლამენტში - 63

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დონორები - 66

აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა

ძვირფასო მეგობრებო,

2011 წლიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ვარ. უკვე მესამედ ვწერ მიმართვას ორგანიზაციის წლიური ანგარიშისთვის. ვცდილობ, მიმართვაში არა მხოლოდ ორგანიზაციის მიღწევებსა და გამოწვევებზე ვისაუბრო, არამედ ქვეყანაში წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესები გავიხსენო და შევაფასო.

2013 წელს საქართველო დემოკრატიული არჩევნების გზით შეცვლილი ახალი მთავრობით შეხვდა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. თებერვლის დასაწყისში ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო კონფერენცია „100 დღე ხელისუფლებაში“, სადაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა შევაფასეთ ახალი ხელისუფლების საქმიანობა და წარმოვადგინეთ ჩვენი რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას დაესწრნენ ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები: საქართველოს პრემიერ მინისტრი, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრები, მთავარი პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პარლამენტის წევრები. შეხვედრაზე დიპლომატიური კორპუსიც იყო წარმოდგენილი.

2013 წელი ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წელი იმ კუთხითაც იყო, რომ ქვეყანას დემოკრატიის კიდევ ერთი გამოწვევა უნდა დაეძლია - სამართლიან გარემოში ჩაეტარებინა საპრეზიდენტო არჩევნები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ არ უღალატა რამდენიმე წლის წინ დამკვიდრებულ ტრადიციას. წინასაარჩევნო პერიოდში ვაწარმოეთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მონიტორინგი. არჩევნების დღეს კი 400-მდე ადგილობრივი დამკვირვებლით არჩევნების მსვლელობას დავაკვირდით.

2013 წელს ისევე როგორც წინა წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ახდენდა მთავრობის საქმიანობის მონიტორინგს. ვცდილობდით, ჩვენი ანალიზისა და კვლევების საფუძველზე აღმოგვეჩნა ის სფეროები, სადაც კორუფციის საფრთხეები ჯერ კიდევ არსებობდა. ჩვენს რეკომენდაციებს წარვუდგენდით როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებას და სასამართლოს. ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა კომისიების საქმიანობაში. მე წარმოვადგენდი ორგანიზაციას მუნიციპალური განვითარების ფონდში, ასევე ვიყავი შეწყალების კომისიის წევრი.

2013 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ხელი მოაწერა პარლამენტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. ჩვენ ოფისიც გვაქვს საქართველოს პარლამენტში. საპარლამენტო მდივანთან ერთად ჩვენი საპარლამენტო სტაჟორები ესწრებოდნენ კომიტეტების სხდომებს და გვატყობინებდნენ მნიშვნელოვანი კანონპროექტების შესახებ. ორგანიზაციის ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კანონმდებლობის დახვეწის პროცესში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ცვლილებების მომზადებაში. 2013 წლის განმავლობაში ორგანიზაცია კრიტიკული შეფასებებითაც გამოირჩეოდა. მაგალითად, კრიტიკულად შევაფასეთ საჯარო სამსახურიდან მასიური გათავისუფლებები, მოწმის დაკითხვის წესის შეცვლის გადავადება.

აღსანიშნავია წლის განმავლობაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ რეგიონული ოფისების საქმიანობა. ჩვენმა ქუთაისის ოფისის იურისტებმა 2013 წელს 14 - მდე უსამართლოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელე აღადგინეს სამსახურში. ზუგდიდის ოფისი თვითმმართველობის კუთხით მუშაობდა აქტიურად. ბათუმის ოფისი აჭარის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას ადევნებდა თვალყურს.

2013 წელს აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ჩვენი უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს დონორებს, რომელთა ფინანსური მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ზემოთ აღნიშნული აქტივობების განხორციელება. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს,რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩვენს სხვადასხვა საქმიანობაში. ორგანიზაცია ძალას არ დაიშურებს მომავალი წელიც ისეთივე პროდუქტიული და აქტიური იყოს, როგორც 2013 წელი იყო.

საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ჩვენ შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 2000 წლის 7 მაისს დაარსდა, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოძრაობის ერთერთი ეროვნული ბიუროა. თავის მხრივ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მსოფლიოში კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი ერთადერთი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა. იგი ერთ, გლობალურ კოალიციაში უყრის თავს სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესსა და მთავრობებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საკუთარი სამდივნოს და 100 - ზე მეტი დამოუკიდებელი ეროვნული ბიუროს მეშვეობით ახორციელებს საქმიანობას ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2004 წელს 7 თანამშრომელი ჰყავდა. 2006 წელს მისი თანამშრომლების რაოდენობა 13 - მდე გაიზარდა. 2013 წლიდან ორგანიზაციას 50-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეგიონებშიც აქვს წარმომადგენლობები – ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის ოფისების თანამშრომლები სამოქალაქო აქტივობებში არიან ჩართული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მისიაა: იყოს ქვეყანაში მიმდინარე კორუფციის რეფორმის შესახებ პირველწყარო; დაეხმაროს მთავრობასა და საზოგადოებას იმ სექტორთა რეფორმირების პროცესის წინსვლაში, სადაც დღეს კორუფცია ჯერ კიდევ არსებობს; ააშენოს და გააძლიეროს ინსტიტუტები და ხელი შეუწყოს კარგ მმართველობას. ბოლო წლებში ის საქართველოში ადვოკატირებაზე დაფუძნებული წამყვანი არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაცია გახდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ ავრცელებს კორუფციის მავნე შედეგების შესახებ ცოდნას, ადვოკატირებას უწევს პოლიტიკის რეფორმას, მუშაობს მრავალმხრივი კონვენციების შესრულების კუთხით და მთავრობების, კორპორაციებისა და ბანკების მიერ მათ შესრულებას აკონტროლებს. მისი ეროვნული ბიუროები ემსახურებიან ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდას, ახორციელებენ ქვეყანაში არსებული მთავარი ინსტიტუტების მონიტორინგს და კორუფციის აღმოსაფხვრელად საჭირო რეფორმების ადვოკატირებას. ორგანიზაციის მთავარი პრინციპია, არ მიემხროს არცერთ პოლიტიკურ ძალას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავისი საქმიანობით ცდილობს, საქართველო გახდეს ქვეყანა, სადაც მოქალაქეები პოლიტიკის შექმნაში მიიღებენ მონაწილეობას, მთავრობა და ბიზნესი გამჭვირვალედ იმუშავებენ და სადაც კორუფცია არცერთ დონეზე არ იარსებებს.

იანვარი

„ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“ საქართველოს ქულა „ღია ბიუჯეტის ინდექსში“

2013 წლის 23 იანვარს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ფინანსთა მინისტრთან ერთად ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა და „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საქართველოს 2012 წლის ქულა წარმოადგინა. „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის“ მიერ გამოქვეყნებული გლობალური ანგარიშის მიხედვით, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდება, „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საქართველოს 100 ქულიდან 55 ქულა აქვს მინიჭებული. ეს მაჩვენებელი 100 გამოკითხული ქვეყნის მიერ მიღებულ საშუალო ქულაზე (43) მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა თავის მოქალაქეებს ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტსა და ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით მხოლოდ გარკვეულ ინფორმაციას აწვდის. ეს, თავის მხრივ, მოქალაქეებს სახელმწიფო სახსრების განკარგვის პროცესისთვის თვალის მიდევნებას ურთულებს.
ცენტრალური აზიის რეგიონში გამოკითხული რვა ქვეყნიდან „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საქართველოს 55 ქულით მეორე ადგილი უკავია რუსეთის ფედერაციის შემდეგ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 2010 წელსაც იგივე მაჩვენებელი ჰქონდა.



„შარეკი“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მსოფლიო მასშტაბის მოძრაობაა. ორგანიზაციის სამდივნო, რომელიც ბერლინში მდებარეობს, კოორდინაციას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანაში დარეგისტრირებულ ეროვნულ ბიუროებს. საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ორგანიზაციული მოწყობა ეროვნულ ბიუროებს საშუალებას აძლევს, მოქნილად იმუშაონ თავიანთი ქვეყნების რეალობიდან გამომდინარე. თუმცა ამდენი ეროვნული ბიუროს საქმიანობისას კომუნიკაციის პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. ზოგჯერ რომელიმე ეროვნული ბიურო რაიმე იდეაზე მუშაობს, არადა ეს იდეა შეიძლება სხვა კონტინენტზე განთავსებულ ბიუროს უკვე განხორციელებული ჰქონდეს. სწორედ ამიტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ითავა ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელშიც ყველა ეროვნული ბიურო გაერთიანდებოდა.

პლატფორმის შექმნამდე მოძრაობაში ჩატარდა გამოკითხვა და გადაწყდა, რომ პროექტს „Shárek“ დარქმეოდა. ეს სიტყვა არაბულ ენაზე ნიშნავს „დახმარებას“ ან „გაზიარებას“, რაც, პროექტის მიზნიდან გამომდინარე, ნამდვილად შესაფერისი სახელია.

2013 წლის განმავლობაში პლატფორმა ვითარდებოდა და ამ პროცესში მოძრაობის ყველა ეროვნული ბიურო მონაწილეობდა. პლატფორმის მიზანი მათ შორის გამოცდილებისა და იდეების გაზიარებაა.

თებერვალი

2013 წლის სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი საქართველოს შედეგები

2013 წლის 1 თებერვალს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – ბრიტანეთის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამის (TI-DSP) და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნული ბიუროების თანამშრომლობის ფარგლებში პირველად გამოქვეყნდა 82 ქვეყნის სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსის შედეგები.

2013 წლის სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსის მიხედვით, საქართველო მოქცეულია „D“ (კორუფციის მაღალი რისკის) ჯგუფში, ანუ ექვსი კატეგორიიდან მეოთხეში.

აღნიშნულ კატეგორიაში საქართველოს მოხვედრა 2012 წლის განმავლობაში მისი თავდაცვის პოლიტიკის, ფინანსური რესურსებისა და პერსონალის მართვის, ოპერაციული და შესყიდვების პოლიტიკის ანალიზის შედეგებმა განაპირობა. ინდექსი თავდაცვის სფეროში კორუფციის რისკების შესამცირებლად მთავრობათა მიერ განხორციელებულ ქმედებებს აანალიზებს და აფასებს. ახალი ინდექსის თანახმად, გამოკვლეული ქვეყნების 70% ვერ ებრძვის ეფექტიანად კორუფციას თავდაცვის სფეროში. ინდექსმა ასევე აჩვენა, რომ კვლევაში შესული ქვეყნების ნახევარი არ აქვეყნებს თავდაცვის ბიუჯეტს ან მის შესახებ არასრულ ინფორმაციას ხდის საჯაროს.

82 ქვეყანა შედეგების მიხედვით 6 ჯგუფში გადანაწილდა. პირველ ორ ჯგუფში შემდეგი ქვეყნები მოხვდნენ: ავსტრია, გერმანია, ნორვეგია, სამხრეთი კორეა, შვედეთი, ტაივანი, ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ჯგუფებში მოხვედრა იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის თავდაცვის სექტორი მაღალი გამჭვირვალობით და ძლიერი ინსტიტუციური მოწყობით გამოირჩევა. ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ბოლო, „F“ ჯგუფში შემდეგი ქვეყნები შევიდნენ: კამერუნი, ანგოლა, ეგვიპტე, სირია, იემენი და ალჟირი.

რამდენად თავისუფალია ინტერნეტი საქართველოში

საქართველოში ინტერნეტბაზრის განვითარების ტენდენციები და სატელეკომუნიკაციო კომპანიების ტექნიკურ ინფრასტრუქტურაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა განხილვის მთავარ თემებად იქცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ 2013 წლის 5 თებერვალს გამართულ დისკუსიაზე, სადაც ინტერნეტის თავისუფლების შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია მოეწყო. ღონისძიებას დაესწრო 60-მდე სტუმარი, რომელთაც კვლევის შედეგებსა და სატელეკომუნიკაციო სექტორში არსებულ გამოწვევებზე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს.

თავად ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სატელეკომუნიკაციო კომპანიების ტექნიკურ ინფრასტრუქტურაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუზღუდავ ხელმისაწვდომობაზე, რაც შეუძლებელს ხდის ელექტრონული კომუნიკაციის მეთვალყურეობაზე კანონით გათვალისწინებული სასამართლო ზედამხედველობის პრაქტიკის დანერგვას. კვლევაში ასევე განხილულია ინტერნეტპროვაიდერი კომპანიების ოფშორული მფლობელობის საკითხი, ინტერნეტის ადგილობრივი ბაზრისა და ონლაინმედიის გამოწვევები. თითოეული ამ პრობლემის გადასაჭრელად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კერძო სექტორს და ხელისუფლებას დეტალური რეკომენდაციები შესთავაზა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა მონიტორინგის შედეგები

2013 წლის 12 თებერვალს „საერთაშორისო გაჭვირვალობა – საქართველომ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა შეაფასა. შესაბამისი ანგარიშის პრეზენტაციას მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა საბჭოს საქმიანობაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზები:

• საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე სისტემატურად, გონივრულ ვადებში არ ქვეყნდება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

• საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, არ იქნა მოწოდებული საბჭოს რამდენიმე სხდომის ამსახველი ოქმები, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მონიტორინგი;

• მკაფიოდ არ არის განსაზღვრული საბჭოს საქმიანობის დამდგენი პროცედურები;

• არ არის განსაზღვრული საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების და მათ მიმართ სასამართლო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა;

• მოსამართლეთა დანიშვნის მთელი პროცესი პრობლემური და ხარვეზიანია;

• აღნიშნული პროცესი არ არის გამჭვირვალე და ბუნდოვანი საკანონმდებლო ნორმები არ იძლევა მოსამართლეობის კანდიდატების ობიექტური კრიტერიუმებისა და შეფასებების საფუძველზე შერჩევის საშუალებას.

ანგარიშში მასზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციებიც არის მოცემული.

„100 დღე ხელისუფლებაში: კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“

2013 წლის 18 თებერვალს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ და პარტნიორმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამართეს კონფერენცია „100 დღე ხელისუფლებაში: კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ ქვეყანაში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის პრეცედენტი შექმნა (ხელისუფლებაში ახალი მმართველი გუნდი მოვიდა), რაც საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო.. კონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა განიხილეს და შეაფასეს ახალი სამთავრობო გუნდის მიერ ინიციირებული რეფორმები და წარმოადგინეს საკუთარი რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებას დაესწრნენ ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა, იუსტიციის და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრები, მთავარი პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და პარლამენტის წევრები. შეხვედრაზე დიპლომატიური კორპუსიც იყო წარმოდგენილი.

იცით, ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003–2012 წლებში? „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეეცადა, მოეძიებინა ინფორმაცია და გაეგო ეს

2013 წლის 22 თებერვალს წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ შედგა წიგნის „ვის ეკუთვნოდა საქართველო: 2003-2012“ პრეზენტაცია. ეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და ჟურნალისტ პოლ რიმპლის ერთობლივი ნაშრომია. წიგნი, რომელიც ნოველის ფორმატითაა წერილი, იმ ბიზნესმენებსა და კომპანიებზე მოგვითხრობს, რომლებიც მნიშვნელოვან წილებს ფლობდნენ ან დღემდე ფლობენ ისეთ სექტორებში, როგორებიცაა: ტელემაუწყებლობა, კომუნიკაციები, სარეკლამო ბაზარი, ნავთობის იმპორტი და დისტრიბუცია, ფარმაცევტული ბაზარი და სასარგებლო წიაღისეული. მასში ასევე საუბარია კავშირებზე, რომლებიც აღნიშნულ კომპანიებს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ან მათთან დაახლოებულ პირებთან აქვთ.

წიგნში წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ 2003–2012 წლებს მოიცავს. საზოგადოებაში ხშირად იყო საუბარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბიზნესის ე. წ. გადანაწილების სქემებზე. ნაშრომის ავტორი ეხმაურება ამ ინფორმაციას და იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ კონკრეტულ სექტორში გარკვეული კომპანიები მონოპოლისტებად. პოლ რიმპლი ასევე შეეცადა გაერკვია, ვინ დგას ამა თუ იმ კომპანიის უკან, რაც ძალიან რთული აღმოჩნდა. დიდი საბაზრო წილების მფლობელი კომპანიების უმეტესობა, ისევე, როგორც ინვესტორები, ძირითადად ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული. წიგნში მხოლოდ რამდენიმე ბიზნესსექტორზეა საუბარი, თუმცა ესეც საკმარისია, რომ „პოსტრევოლუციურ“ საქართველოში არსებული ზოგადი ტენდენციები გამოიკვეთოს.

წიგნის პრეზენტაციას ჟურნალისტები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ.

მარტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი

2013 წლის 5 მარტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობასთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმის თანახმად, გამგეობა ორგანიზაციის მიერ წამოწყებულ პროექტში „FixMyStreet“ – „შეაკეთე ჩემი ქუჩა“ ჩაერთვება. პროექტი მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, კონკრეტული ქუჩის პრობლემების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიაწოდონ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა პრობლემები და რეკომენდაციები

2013 წლის მარტში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დაწყებას მისი პოზიტიური ასპექტების და გამოწვევების ანალიზით და შესაბამისი რეკომენდაციებით გამოეხმაურა.

პროგრამის პოზიტიური ასპექტებიდან გამოიყო შემდეგი: 1. პროგრამა გავრცელდა ყველა მოქალაქეზე, რომლებსაც მანამდე არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა; 2. დაფინანსდა პრევენციული ღონისძიებები, რაც 2012 წელს ჩვენი ორგანიზაციის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო. პრევენცია მანამდე არცერთი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსებულა; 3. ამბულატორიული მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციისთვის ბენეფიციარებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა მიეცათ.

პროგრამის გამოწვევებიდან გამოიყო შემდეგი: 1. არ მოხდა მოსახლეობის დაუზღვეველი ნაწილის შემოსავლების მიხედვით დიფერენცირება, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა იმისთვის, რომ ბიუჯეტის ხარჯები და, შესაბამისად, ფისკალური ტვირთი ზედმეტად არ გაზრდილიყო. თუ ახალი სადაზღვევო პროგრამა ყველა დაუზღვეველ პირს დააზღვევს, მაშინ მოსალოდნელია ამ პირთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა კერძო სექტორში დაზღვეულთა ხარჯზე. კერძოდ, ჩვენი ორგანიზაცია აცხადებდა, რომ, თუ სახელმწიფო პროგრამას ყველა დაუზღვეველ პირზე გაავრცელებს, დიდია ალბათობა იმისა, რომ დამსაქმებლები აღარ გასწევენ ხარჯს საკუთარი თანამშრომლების დასაზღვევად. მუქთა სარგებლობის (ფრირაიდინგის) თავიდან ასაცილებლად მან მთავრობას დამსაქმებლებისთვის ან დასაქმებულებისთვის ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადის დაწესება შესთავაზა; 2. კერძო სადაზღვევო კომპანიები არ ჩაერთვნენ პროგრამაში, რაც, იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზრის დაახლოებით 75%-ია, ბაზარს მნიშვნელოვნად დააზარალებს; 3. გარკვეულ შემთხვევებში პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებს აქვთ ცდუნება, ზედმეტი მომსახურება გაუწიონ ბენეფიციარს, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ არ მოემსახურონ მას.

ამ და სხვა გამოწვევების და რეკომენდაციების განსახილველად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მთავრობას თანამშრომლობა შესთავაზა, რაც, მისი ღრმა რწმენით, ხელს შეუწყობს დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის სექტორების შემდგომ რეფორმირებას.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი „საქართველოს ფოსტას“ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს

2013 წლის მარტში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიმართა მეწარმეთა ჯგუფმა, რომლებიც საქონლის გადაზიდვით იყვნენ დაკავებული. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 25 იანვრის №30 ბრძანებამ, რომლითაც საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებულ პროცედურებში ცვლილება შევიდა, მათ დიდი სირთულეები შეუქმნა. საკითხის უფრო ღრმად შესწავლამ აჩვენა, რომ ახალი ნორმების შედეგად გადამზიდველების ბაზრიდან სრულად განდევნის საფრთხე შეიქმნა, „საქართველოს ფოსტა“ კი უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

გადამზიდველთა ინტერესების დასაცავად ჩვენი ორგანიზაციის იურისტებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს და ფინანსთა მინისტრის ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სადავო ბრძანება ბათილად გამოცხადდა.

სასამართლო დავის პარალელურად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იძლეოდა დაპირებას, რომ სადავო ნორმები თანდათანობით გაუქმდებოდა, თუმცა უყურადღებოდ ტოვებდა იმ გარემოებას, რომ სადავო ბრძანების თუნდაც ხანმოკლე მოქმედება გადამზიდველებს საქმიანობის საშუალებას არ აძლევდა და ბაზრიდან დევნიდა. დავის წაგების შემდეგ ფინანსთა სამინისტრომ და შემოსავლების სამსახურმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართეს. თბილისის სააპელაციო სასამართლომაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა. შესაბამისი საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, ფინანსთა სამინისტრომ და შემოსავლების სამსახურმა ამჯერად საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართეს.

ჩვენი ორგანიზაცია ამზადებს სარჩელს და სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო აქტით გადამზიდველებისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართავს.

2013 წლის საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კონკურსი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თავისი საქმიანობის პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს ჟურნალისტებთან. მან შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, 2013 წლის მარტში ქართველი ჟურნალისტებისთვის საუკეთესო საგამოძიებო სტატიის/სატელევიზიო სიუჟეტის გამოსავლენად კონკურსი გამოაცხადა.

ჩვენმა ორგანიზაციამ საგამოძიებო სტატიის/სატელევიზიო სიუჟეტის კონკურსის გამოცხადება საგამოძიებო ჟურნალისტიკის წასახალისებლად გადაწყვიტა, რადგან მიაჩნია, რომ ქვეყანაში ეს სფერო შედარებით სუსტია და არც იმ ჟურნალისტთა რაოდენობაა დიდი, რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებენ. არადა სწორედ საგამოძიებო ჟურნალისტიკაა საუკეთესო საშუალება კორუფციული სქემებისა და ჩინოვნიკების მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების შემთხვევების გამოსავლენად.

საუკეთესო სტატია/სიუჟეტი შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩა:
ა) სტატიის/სიუჟეტის მიუკერძოებლობა, ყველა მხარის პოზიციის წარმოჩენა;
ბ) სტატიაში/სიუჟეტში განხილული პრობლემის აქტუალურობა და ნაშრომის საზოგადოებრივი სარგებელი;
გ) ნაშრომის ორიგინალურობა (მათ შორის, საკუთარი ძალებით და არა სხვის მასალებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის სიმრავლე);
დ) რამდენად წამყვანი როლი შეასრულა თავად ჟურნალისტმა ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემის გამოაშკა-რავებაში;
ე) სტატიაში/სიუჟეტში მოყვანილი სანდო და გადამოწმებული წყაროების სიმრავლე;
ვ) მკითხველისთვის/მაყურებლისთვის სტატიის/სიუჟეტის პრეზენტაციის სტილი;
ზ) სტატიის სტრუქტურა.

ჩვენი ორგანიზაციისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო შემდეგი საკითხები: კორუფცია (სახელმწიფო სტრუქტურებში და კერძო სექტორში), საჯარო ფინანსების გამოყენება და მენეჯმენტი, სახელმწიფო მოხელეების და კერძო სექტორის ანგარიშვალდებულება, სახელმწიფო შესყიდვები, ინტერესთა კონფლიქტი, პოლიტიკის და კერძო სექტორის ურთიერთობა.

2013 წლის მაისის ბოლოს ორგანიზაციაში 10 ნამუშევარი შემოვიდა. მათ შესაფასებლად შეიქმნა ჟიური, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ნინო ჟიჟილაშვილი, გადაცემა „პოლიტმეტრის“ წამყვანი; ნანა ბიგანიშვილი, სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი; ოლესია ვარტანიანი, „ეხო კავკაზას“ ჟურნალისტი.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, გამარჯვებულებად დასახელდნენ შემდეგი ჟურნალისტები:
1ლი ადგილი: გიორგი მგელაძე, ჟურნალისტური გამოძიება „მეწარმე პარლამენტარის წინა-აღმდეგ“;
მე2 ადგილი: ცქრიალა შერმადინი, ჟურნალისტური გამოძიება „მოტყუებული ფერმერები“;
მე3 ადგილი: თეა ზიბზიბაძე, სტატია „ჩინოვნიკთა კორუფციული სქემები და თანამდებობებით მიღებული წილები ბიზნესში“.

აპრილი

2 აპრილი – სასამართლო მონიტორინგის მეორე ანგარიშის პრეზენტაცია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის ოთხთვიანი მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა.

ანგარიშს საფუძვლად თბილისის, ბათუმის, ხელვაჩაურის, გორისა და თელავის პირველი ინსტანციის სასამართლოებში 142 საქმეზე გამართული 282 სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგები დაედო. სასამართლო მონიტორინგი განხორციელდა მაღალი საჯარო ინტერესის საქმეების განმხილველ სასამართლო სხდომებზედაც, რომლებიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ძირითადად პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის დარღვევას ეხებოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მონიტორინგს უწევდა შემდეგ კრიტერიუმებს:
- პუნქტუალურობა და საქმის განხილვის გონივრული ვადა;
- საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპი;
- მოსამართლის მიერ სხდომის წარმართვის პრინციპი;
- ინკვიზიციურობის პრინციპი (მოსამართლის ინიციატივა);
- შეჯიბრებითობის პრინციპი (მხარეთა თანასწორობა, დავის მიუკერძოებელი გადაწყვეტა).

მონიტორინგმა დაადგინა, რომ მოსამართლეთა დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეების მიმართ, ისევე, როგორც ამ საქმეებში წარმოდგენილი მხარეების მიმართ, რადიკალურად განსხვავდებოდა რიგითი ადმინისტრაციული დავების განხილვისას მათი ქცევისგან.

მაღალი საჯარო ინტერესის ადმინისტრაციულ დავებში, რომლებიც 2012 წლის საპარლამენტო ოქტომბრის არჩევნებამდე დაიწყო, შემდეგი ხარვეზები გამოიკვეთა:
- სასამართლო ზღუდავდა მოქალაქეთა უფლებას, თავისუფლად დასწრებოდნენ სხდომებს, რადგან ამ სხდომებს განრიგში არ აქვეყნებდა და საქმეთა განხილვისთვის შეუსაბამოდ მცირე ზომის სასამართლო დარბაზებს ირჩევდა;
- სასამართლოს ადმინისტრაციული პერსონალი უარს აცხადებდა, გაეცა ინფორმაცია განუსაზღვრელი დროით გადადებული სხდომების თარიღისა და დროის შესახებ;
- მოსამართლეთა მიერ ინკვიზიციური უფლებამოსილების იშვიათად გამოყენების დროსაც კი ისინი აშკარად სახელმწიფო მხარეს აყენებდნენ უპირატეს მდგომარეობაში;
- ადმინისტრაციულ საქმეებში სახელმწიფო მხარის წარმატების მაჩვენებელი იმდენად მაღალია, რომ, როგორც წესი, სასამართლოს არაობიექტურობის ეჭვს ბადებს.

ანგარიშში შემუშავებული რეკომენდაციებიც არის მოცემული. მის პრეზენტაციას მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები და ჟურნალისტები დაესწრნენ.



როგორ ფინანსდებიან პოლიტიკური პარტიები

2013 წლის 12 აპრილს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა ანგარიში „პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2012 წელს“. ანგარიშში გაანალიზებულია იმ ცხრა პოლიტიკური გაერთიანების წლიური ფინანსური დეკლარაციები, რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის ფარგლებში ხმების 1%-ზე მეტი მოაგროვეს.

2012 წელს (აგვისტო-სექტემბრის გამოკლებით) კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალმა ექვსმა პარტიამ შემო-სავლის სახით საერთო ჯამში 4 მილიონ 607 ათასი ლარი მიიღო, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 13 მილიონ 434 ათასი ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ – 961 ათასი ლარი, ლეიბორისტულმა პარტიამ – 337 ათასი ლარი. პოლიტიკური პარტიები შემოსავლის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო დაფინანსებისა და შემო-წირულებების სახით იღებდნენ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა პოლიტიკური ანგარიშსწორება უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური პარტიების დაფინანსების და მათ მიერ ფინანსების ხარჯვის მონიტორინგის განხორციელება. არაერთხელ დაფიქსირდა ამ ორგანოს მიკერძოებული, შერჩევითი მიდგომა, ზოგ შემთხვევაში კი იგი ყურადღებას არც კი აქცევდა მაშინდელი მმართველი გუნდის საქმიანობას.

საარჩევნო დაფინანსების შესახებ კანონმდებლობა წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებული, თუმცა მაინც იკვეთებოდა სერიოზული პრობლემები. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში სანქციები ზედმეტად მკაცრი იყო, ხოლო ზოგიერთი ნორმა ზედმეტად ფართო და მრავალმნიშვნელოვანი განმარტების შესაძლებლობას იძლეოდა.

BBC-ის კორესპონდენტის, დენ დეიმონის, სამუშაო შეხვედრა ქართველ ჟურნალისტებთან

2013 წლის აპრილის ბოლოს, „საერთაშორისო გამჭვირ-ვალობა – საქართველოს“ მოწვევით, საქართველოში BBC-ის მსოფლიო სამსახურის ერთ-ერთი სახე და ბრიტანეთში ცნობილი ჟურნალისტი, დენ დეიმონი, ჩამოვიდა. მას მსოფლიოს ამბების გაშუქების განსაკუთრებით საინტერესო და მრავალ-ფეროვანი გამოცდილება აქვს. ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ჟურნალისტი ბრიტანელ მაყურებელსა და მსმენელს ახალ ამბებს ხშირად მოვლენათა ეპიცენტრიდან (ბოსნიისა და ხორვატიის კონფლიქტი, ერაყის ომი, ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნები და ა. შ.) ამცნობდა.

ჩვენმა ორგანიზაციამ 26–28 აპრილს სიღნაღში წამყვანი ქართველი ჟურნალისტებისა და საინფორმაციო გამოშვე-ბების პროდიუსერებისთვის გასვლითი სამუშაო შეხვედრა მოაწყო. 27 აპრილს დენ დეიმონმა ჩაატარა ერთდღიანი „მასტერკლასი“, სადაც ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოც-დილება გაუზიარა და მათ კორუფციის რისკებზე და ჟურნალისტური ქცევის ეთიკაზე ესაუბრა.

ქუთაისის ოფისი

საქმიანობა

თეონა ზაქარაშვილი და თამარ ქარბაძე ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლები არიან და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ქუთაისის ოფისს უდგანან სათავეში. თამარი იურიდიულ საქმიანობასთან ერთად კოორდინატორობას ითავსებს, თეონა კი აქტიურად ეხმარება იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ქუთაისის ოფისს უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართავენ.

ქუთაისის ოფისი 2012 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს. ის საქმიანობას 4 ძირითადი მიმართულებით ახორციელებს: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი, უფასო იურიდიული დახმარების გაწევა, პარლამენტთან ურთიერთობა და სასამართლოს მონიტორინგი. ქუთაისის ოფისი სათავო ოფისის მიერ რეგიონში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებაშიც მონაწილეობს.

2013 წლის განმავლობაში ქუთაისის ოფისის თანამშრომლები მონიტორინგს უწევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობას. ისინი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის და თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერის შესარჩევ კონკურსებსაც ესწრებოდნენ.

2013 წელს ქუთაისის ოფისის თანამშრომლებმა რაიონულ/საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში წარმომადგენლობა 20-მდე ადმინისტრაციულ საქმეზე განახორციელეს. თითქმის ყველა საქმე ადმინისტრაციული ორგანოებიდან პირთა კანონის დარღვევით გათავისუფლებას შეეხებოდა. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს შორის იყო რეორგანიზაცია, საშტატო ერთეულების შემცირება, დისციპლინური პასუხისმგებლობა და პირადი განცხადება, რომელიც განმცხადებელს საკუთარი სურვილით არ დაუწერია.

ქუთაისის ოფისის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ სასამართლო წარმომადგენლობებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის მერიიდან გათავისუფლებულ პირთა ინტერესების დაცვა. რეორგანიზაციისა თუ საშტატო ერთეულების შემცირების მოტივით ქუთაისის მერმა 86 სამსახურის/განყოფილების უფროსი და სხვადასხვა რანგის სპეციალისტი გაათავისუფლა, მოგვიანებით კი, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლით, – მერის 2 მოადგილე. ქუთაისის ოფისის თანამშრომლებმა წარმომადგენლობა 12 პირს გაუწიეს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ყველა იმ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა, რომელთა საშტატო ერთეულები არ გაუქმებულა და მხოლოდ სამსახურის სახელწოდება შეიცვალა. მან ნაწილობრივ დააკმაყოფილა იმ მოსარჩელეთა მოთხოვნა, რომელთა საშტატო ერთეულები შემცირდა, მაგრამ ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წარმოება არ ჩაუტარებია. სასამართლომ მხოლოდ 2 სარჩელი არ დააკმაყოფილა. ქუთაისის მერიის მიერ დასახელებული საქმეების ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ დაკმაყოფილებულ სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილებები ძალაში დარჩა, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ მოთხოვნებზე და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ დაუკმაყოფილებელ ერთ სარჩელზე მორიგება შედგა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ასევე სრულად დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და ბათილად ცნო ქუთაისის მერის ის ბრძანებები, რომლებითაც მერის მოადგილეები თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ.

2013 წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ქუთაისის ოფისის იურისტები აქტიურად მონაწილეობდნენ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებაში. თანამდებობებზე აღდგენილ იქნა 4 მოხელე ქუთაისის მერიაში და 1 – ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად), 3 საქმეზე მოხდა აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში (ქუთაისის მერიის ყოფილ თანამდებობის პირებს იძულებითი განაცდური აუნაზღაურდათ), ხოლო 3 შემთხვევაში ყოფილი თანამდებობის პირები სამუშაო ადგილებს მორიგების მეშვეობით დაუბრუნდნენ.

2013 წლის განმავლობაში ქუთაისის ოფისის წარმომადგენლები მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად 5 ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობდნენ. 3 საქმე მორიგებით დამთავრდა და გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკრეტული პირი დანიშნა მის თანამდებობაზე (რომელიც კანონის დარღვევით დაატოვებინეს), ხოლო 2 შემთხვევაში დღემდე მიმდინარეობს წარმოება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან უკანონოდ გათავისუფლებულ მოხელეთა თანამდებობებზე აღსადგენად.

2013 წელს ქუთაისის ოფისის თანამშრომლებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობა გაუწიეს მათიას ჰუტერს. მათიას ჰუტერმა საკონსტიტუციო სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 28 ივნისს შეტანილი ცვლილების გამო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის უფლება დაკარგა. ამ ცვლილების თანახმად, უცხოელს, აგრეთვე საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს 2014 წლის 31 დეკემბრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის უფლება არ აქვს. აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დადგენილ თანასწორობის უფლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ უცხოელისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის შეზღუდვა 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. ამიტომ მოსარჩელე მხარემ სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა გამწესრიგებელ სხდომაზე, საქმის არსებითი განხილვის გარეშე მოითხოვა.
2013 წლის განმავლობაში აქტიურად ხორციელდებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა (სულ 33 საქმის) განხილვის მონიტორინგი. 4 მონიტორი ყოველდღიურად ესწრებოდა სასამართლო პროცესებს და მათი მიმდინარეობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობას განსაზღვრული კითხვარების მეშვეობით აკვირდებოდა.

ჩვენი ორგანიზაცია ასევე აკვირდებოდა სისხლის სამართლის პროცესებს, რომელიც ყოფილი პრემიერ მინისტრის, ვ. მერაბიშვილის, და ზ. ქიაბერაშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ რადიო „ძველი ქალაქის“ ეთერში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ქუთაისის ოფისის წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადდა და რადიო „ძველი ქალაქის“ ეთერში გავიდა 4 რადიოგადაცემა. ისინი საზოგადოებისთვის და განსაკუთრებით იმერეთის რეგიონისთვის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. მათ შორის იყო:

- საჯარო სამსახურში მიღების, რეორგანიზაციის ჩატარებისა და გათავისუფლების წესი;
- საკუთრების უფლება, მისი შეზღუდვა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში და ანაზღაურების წესი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესი;
- შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მის უზრუნველსაყოფად;
- ავტობანისა და საქართველოს რკინიგზის ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პრობლემები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და სახელმწიფოს საპასუხო ვალდებულებები;
- საწარმოო ტრავმის მიღების შედეგად დაზარალებულ პირთა მიერ კომპენსაციის მიღების წესი.

რადიოგადაცემების ფორმატი პირდაპირ ეთერში შეკითხვების დასმის შესაძლებლობას არ იძლეოდა, თუმცა გადაცემების შემდეგ ქუთაისის ოფისს ის ადამიანებიც დაუკავშირდნენ, რომლებსაც მათში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვები ჰქონდათ.

■ შეხვედრები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ქუთაისის ოფისი ადგილობრივ მედიასთან, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობს. 2013 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა შედგა.

სპეციალური შეხვედრა დაეთმო ჟურნალისტებისთვის ქუთაისის ოფისის მიერ ქუთაისის მერიიდან გათავისუფლებულ პირთა საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობას. პროცესების მიმდინარეობას ადგილობრივი მედიასაშუალებებიც რეგულარულად აშუქებდნენ.

მორიგი შეხვედრა ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის კვლევის „მბრუნავი კარი“ პრეზენტაციას დაეთმო.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ქუთაისის ოფისს რეგულარულად სტუმრობდნენ ეროვნულდემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები. ისინი აქტიურად ინტერესდებოდნენ არა მხოლოდ იმერეთის რეგიონში არსებული წინასაარჩევნო გარემოთი, არამედ ზოგადად ადამიანის უფლებათა მდგომარეობით.

ქუთაისის ოფისმა გამართა შეხვედრები ბრიტანეთის ელჩთან, დევიდ მორანთან, და პოლიტიკურ საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველთან, ბენჯამინ რინაკთან. ამ შეხვედრებზე განიხილეს ადგილობრივი პრობლემები, წინასაარჩევნო და არჩევნებისშემდგომი სიტუაცია, ასევე ელჩს მიეწოდა ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ.

2013 წლის განმავლობაში ქუთაისის ოფისი აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ყოველთვიურ შეხვედრებში. ამ შეხვედრებზე, მათი ფორმატის გათვალისწინებით, კონკრეტულ ორგანიზაციას მიეწოდებოდა ინფორმაცია ყოველთვიურად ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ასევე განიხილებოდა მიმდინარე აქტუალური საკითხები და იგეგმებოდა ერთობლივი პროექტები.

ქუთაისის ოფისთან თანამშრომლობს სტუდენტური ორგანიზაცია „მელნისფერი თაობა“. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბების და საკუთარი უფლებების შესახებ, ასევე კონსულტაციებს თვითმმართველობისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტების (მათ შორის, დებულების) მომზადების წესის და საუკეთესო პრაქტიკის თაობაზე.

მაისი

24 მაისი

„ფარული თვალთვალი და პირადი მონაცემების დაცვა: მთავარი გამოწვევები“



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მოამზადა ანგარიში, რომელიც ფარული მიყურადების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სტანდარტების მიხედვით შეფასებას შეეხებოდა.

კვლევამ ცხადყო, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ფარული მიყურადებისა და თვალთვალის მექანიზმებს არეგულირებს, სამწუხაროდ, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული პირადი ცხოვრების ხელყოფა.

ანგარიშში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღემდე პრობლემაა სამართალდამცველი ორგანოების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეულ ოფისებში დამონტაჟებული სპეციალური „შავი ყუთების“ არსებობა, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, პირდაპირ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე მიუწვდებოდეთ ხელი კავშირგაბმულობის ოპერატორების მონაცემებთან და კერძო პირ-ებს შორის განხორციელებულ ყველა სახის კომუნიკაციასთან. სატელეკომუნიკაციო კომპანიების წარმომადგენლების ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩვენი ორგანიზაციისთვის ასევე ცნობილია, რომ ხელისუფლების ორგანოებს ერთდროულად 21000 მობილური ნომრის მოსმენა შეუძლიათ. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ არ არსებობს ფარული მიყურადებისა და თვალთვალის განხორციელების დროს ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმები.



ნუ გვისმენთ!

ფარული მიყურადება და თვალთვალი საქართველოში

ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნებისმიერ მისთვის სასურველ ადამიანს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ფარულად უსმენდა ან უთვალთვალებდა. ეს ეჭვები 2012 წლის ოქტომბერში დადასტურდა, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილ იქნა უკანონო მიყურადების და ფარული ჩაწერის შედეგად მოპოვებული 28687 ფაილი, რომელთა უდიდესი ნაწილი ხელისუფლების წარმომადგენლების, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, მათი პარტიული აქტივის და ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა, აგრეთვე საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი წარმომადგენლების შეხვედრებს, ოფისებსა და საცხოვრებელი სახლებს ასახავდა. ჩანაწერების ნაწილი პირადი, ინტიმური ხასიათის იყო.

აღნიშნულმა ფაქტმა საზოგადოების უდიდესი დაინტერესება გამოიწვია. 2013 წლის 15 აგვისტოს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომლის ძირითადი მიზანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში აღმოჩენილი, უკანონო მიყურადების და ფარული ჩაწერის შედეგად მოპოვებული მასალების აღრიცხვა, ანალიზი და მათი განადგურების ან დაარქივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება იყო. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ მთავრობის, მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური.

2013 წლის 5 სექტემბერს კომისიამ საჯაროდ გაანადგურა 110 ელექტრონული დისკი. ისინი იმ პირთა ინტიმური ცხოვრების დეტალებს შეიცავდა, რომლებსაც უთვალთვალებდნენ. არაინტიმური ხასიათის ჩანაწერები გამოძიებას გადაეგზავნა და მას იმ პირთა გამოვლენა დაევალა, რომლებიც უკანონო თვალთვალის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ და ასრულებდნენ.

ამის პარალელურად საქართველოს პარლამენტში ინიციირებულ იქნა კანონპროექტი, რომლის მიზანი მომავალში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და პირადი ცხოვრების უფლების უკანონო შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად საკანონმდებლო ნორმების დახვეწაა. პარლამენტში შეიქმნა აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე სპეციალური ჯგუფი, რომლის წევრები ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლებიც არიან.

საკანონმდებლო ნორმების დახვეწასთან ერთად მნიშვნელოვანი გამოწვევაა 2005 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფისებში დამონტაჟებული სპეციალური „შავი ყუთების“ არსებობა, რომლებიც სამართალდამცველ ორგანოებს საშუალებას აძლევს, პირდაპირ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე მიუწვდებოდეთ ხელი კავშირგაბმულობის ოპერატორების მონაცემებთან.

ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მიზანია ზედამხედველობის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს და ნაკლებ შესაძლებლობას მისცემს ხელისუფლებას, ბოროტად გამოიყენოს პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის საშუალება.

„აქტიური მოქალაქე – ანგარიშვალდებული მთავრობა“ სტუდენტური კონკურსი საუკეთესო ესსეს გამოსავლენად

ჩვენმა ორგანიზაციამ ქვეყანაში აქტიური მოქალაქეობის წასახალისებლად 2013 წლის გაზაფხულზე სტუდენტური კონკურსი, „აქტიური მოქალაქე – ანგარიშვალდებული მთავრობა“, გამოაცხადა. კონკურსი იმ სტუდენტებზე იყო გათვლილი, რომლებსაც მოსწონთ აქტუალურ პრობლემებზე წერა და სურთ ხელისუფლების კონტროლის უნარ-ჩვევები განივითაროონ.

კონკურსის ფარგლებში სტუდენტებს მოეთხოვებოდათ, დაეწერათ მცირე კვლევა, რომელშიც ისინი ანგარიშვალ-დებულებასთან დაკავშირებულ პრობლემას წარმოაჩენდნენ. კონკურსში მონაწილე სტუდენტებს საშუალება მიეცათ, თავად აერჩიათ საკვლევი საკითხი და ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე ინსტიტუტი.

2013 წლის მაისის ბოლოს ორგანიზაციაში რვა ნაშრომი შემოვიდა.

ნაშრომები კვალიფიციურმა ჟიურიმ შეამოწმა. კონკურსის გამარჯვებული და „აიპედის“ მფლობელი გახდა თავის-უფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის II კურსის სტუდენტი, მარინე კაპანაძე, კვლევისთვის „რამდენად გამჭვირვალე და ინფორმაციულად დატვირთულია სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების ვებგვერდები?“ (http://personal.crocodoc.com/hCL6UDn). მეორე ადგილი და „ქინდლი“ წილად ხვდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სახელმწიფო მმართველობის სკოლის სტუდენტს, ნინო ჭოველიძეს, კვლევისთვის „რამდენად ხელმისაწვდომია თბილისის მერიაში არსებული საჯარო ინფორმაცია მოქალაქეებისათვის?“ (http://personal.crocodoc.com/JZPXQz5).

მესამე ადგილი და „ქინდლი“ მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტმა, ქეთევან ლურსმანაშვილმა, კვლევისთვის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვის ანალიზი, საკადრო პოლიტიკა და მისი შედეგები“ (http://personal.crocodoc.com/TWLcHwb).

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ჩვენ დავიღალეთ SMS სპამის მიღებით! თქვენ?

საქართველოში მობილური ტელეფონების მფლობელებისთვის უცხო არ უნდა იყოს ყოველკვირეულად, ზოგჯერ კი ყოველდღიურად რამდენიმე სარეკლამო შეტყობინების მიღება. ხშირად მათი მეშვეობით ისეთი კომპანიების პროდუქციას თუ მომსახურებას გთავაზობენ, რომელთა შესახებაც არაფერი გსმენიათ. ეს არის გამოწვევა, რომელიც არღვევს ადამიანების პირადი ცხოვრების უფლებას და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების პერსონალურ მონაცემთა დაცულობას.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, უნებართვო SMS რეკლამა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კამპანიის თემად იქცა. ორგანიზაციის მიზანი იყო კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რადგან, როგორც მის მიერ დაკვეთილმა საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ცხადყო, მოსახლეობას კარგად არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ უნებართვო მობილური სარეკლამებო შეტყობინებების პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ისინი აღიზიანებს და სიმშვიდეს ურღვევს ადამიანს, არამედ ისიც, რომ SMS სპამი მიმღების პირადი მონაცემების დაუცველობის რისკებზე მიუთითებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ SMS სპამის საწინააღმდეგო კამპანიამ განსაკუთრებული ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც ორგანიზაციამ იმ კომპანიების სია გამოაქვეყნა, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით, საკუთარი ინიციატივით, პერიოდულად უგზავნიდნენ მას არასასურველ მობილურ სარეკლამო შეტყობინებებს.

აღნიშნული კამპანიის დაწყების შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მომხმარებლებისგან არაერთი ელექტრონული შეტყობინება და კომენტარი მიიღო, რომლებშიც ისინი ორგანიზაციას იმის ახსნას სთხოვდნენ, თუ როგორ დაეცვათ საკუთარი პერსონალური მონაცემები და როგორ მოეთხოვათ კომპანიებისთვის მათთვის არასასურველი სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა. ამის საპასუხოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა რამდენიმე ბლოგპოსტი, რომლებიც ის მკითხველებს მომხმარებელთა უფლებებზე მოუთხრობდა, კომპანიებს კი სოციალური პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ და კანონის შესაბამისად მოქმედებისკენ მოუწოდებდა.

დიდი ხნის განმავლობაში კერძო კომპანიები სარგებლობდნენ იმ ვითარებით, რომ კანონის დარღვევის გამო მათ პასუხს იოლად ვერავინ აგებინებდა, რადგან 2016 წლამდე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი შეზღუდული უფლებამოსილება აქვს. ამიტომ მთავარი გამოწვევა საკანონმდებლო ბაზის დახვეწა იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ საკუთარი წვლილი შეიტანა უნებართვო SMSშეტყობინებებთან დაკავშირებული კანონპროექტის შექმნაში. ამ პროცესს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისი ედგა სათავეში. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები, სხვა საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავდა სარეკლამო შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის (Unsubscribe) მარტივი მექანიზმის დანერგვას, რისი მეშვეობითაც ბოლო უნდა მოეღოს უნებართვო რეკლამების გავრცელებას.

MAGTI-G... 3G 11:33
Edit
Smiley
Messages
Add to Contacts
Call
Text Message
Jul 6, 2013, 17:50
Salikvidacio fasebi nebismier teqnikaze! kondicioneri, machvari, sarecxi manqana - 499 larad! 6 da 7 iviss 10:00-20:00st-mde SMILEY-s qselshi! T: 0322555655
Jul 10, 2013, 11:33
Not Delivered
Send
Text Message

28 ივნისი
რამდენად კონკურენტულია საქართველოს სარეკლამო ბაზარი?

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს სარეკლამო ბაზარზე განვითარებული მოვლენების შესაფასებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ჩაატარა სარეკლამო ბაზრის მორიგი კვლევა. მან ანგარიში „საქართველოს სარეკლამო ბაზარი – ახლა უკვე კონკურენციის პირობებში?“ საზოგადოებას საჯარო ღონისძიებაზე წარუდგინა. კვლევის შედეგები ორგანიზაციამ მედიასაშუალებების, სარეკლამო სააგენტოებისა და რეკლამის დამკვეთი კომპანიების 50-მდე წარმომადგენელს გააცნო.

კვლევის მთავარი მიგნება იყო ის, რომ 2012 წელს განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების შემდეგ, მალევე სარეკლამო სექტორში ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა და ბაზარი უფრო კონკურენტუნარიანი გახდა. „პოლიტიკა აღარ თამაშობს მნიშვნელოვან როლს სარეკლამო თანხების გადანაწილებაში და კომპანიები თავისუფლად იღებენ გადაწყვეტილებებს საკუთარი დანახარჯების შესახებ“, – ნათქვამია ანგარიშში.

პრეზენტაციაზე კვლევის ავტორებმა იმაზედაც ისაუბრეს, რომ საქართველოს სარეკლამო ბაზარი ბოლო წლებში არ გაზრდილა, რაც ქართული მედიის დამოუკიდებლობისა და მდგრადი განვითარების პერსპექტივებზე ნეგატიურად მოქმედებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლების მტკიცებით, კერძო სექტორის სარეკლამო დანახარჯები არ გაზრდილა, რადგან ინვესტორებს კვლავ აფიქრებთ პოლიტიკური არასტაბილურობა.

ივლისი

9 ივლისი – გლობალური კორუფციის ბარომეტრი

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გლობალური კორუფციის ბარომეტრის ახალი კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 4% ადასტურებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ქრთამი გადაიხადა (2010 წლის გამოკითხვის მიხედვით, ამ შეკითხვას დადებითად რესპონდენტების 3%-მა უპასუხა). კვლევაში შესული 107 ქვეყნიდან საქართველოში ქრთამის გადახდის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ზოგადად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ოთხი გამოკითხულიდან ერთზე მეტი (27%) აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში ქრთამი გადაიხადა.

აღნიშნული შედეგის მიუხედავად, კორუფცია საქართველოს ბევრი მოქალაქისთვის ისევ პრობლემად რჩება. გლობალური კორუფციის ბარომეტრის კვლევის ფარგლებში, 2012 წლის სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის დროს შეკითხვაზე „რომელ ინსტიტუტს მიიჩნევთ ყველაზე კორუმპირებულად?“ პასუხისას რესპონდენტების 51%-მა სასამართლო დაასახელა. მომდევნო ადგილზე, გამოკითხულთა 42%-ის აზრით, მედიაა, ხოლო რესპონდენტების 34%ს კორუმპირებულ ინსტიტუტად პარლამენტი მიაჩნია. ნაკლებად კორუმპირებულ ინსტიტუტებად რელიგიური ორგანიზაციები (გამოკითხულთა 81% ამბობს, რომ ეკლესია არ არის კორუმპირებული ან ნაკლებად კორუმპირებულია), ჯარი (73%) და არასამთავრობო ორგანიზაციები (71%) დასახელდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დაკვეთით საქართველოში გამოკითხვა ჩაატარა გამოკითხვებისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა (IPM), რომელმაც 2012 წლის სექტემბერში პირისპირ გამოკითხა საქართველოში (აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გარდა) მცხოვრები 1000 მოქალაქე. გლობალური კორუფციის ბარომეტრი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნო ახორციელებს, ერთადერთი გამოკითხვაა, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით იკვლევს კორუფციაზე საზოგადოებრივ აზრს. 2013 წლის გლობალური კორუფციის ბარომეტრი 107 ქვეყანაში 114270 ადამიანის შეხედულებებსა და გამოცდილებას ასახავს.

„კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სასამართლო სისტემაში დაწყებული რეფორმები უნდა გაგრძელდეს. ჩვენ ასევე გვჭირდება პროკურატურის რეფორმირება. პროკურატურა ძლიერი ინსტიტუტია და ის ხელისუფლებისგან სრული დამოუკიდებლობით უნდა გამოირჩეოდეს. დღეს საქართველოს პროკურატურა საკმაოდ ხშირად პოლიტიზებულია. მოქალაქეებს ძალოვანი სტრუქტურების და სასამართლოს ნდობა უნდა ჰქონდეთ“, – აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური.

კვლევაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოში საჯარო სექტორში ნეპოტიზმი ისევ პრობლემად რჩება: შეკითხვაზე, რამდენად საჭიროა პირადი კონტაქტები სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობისას, გამოკითხულთა 38% უპასუხებს, რომ ასეთი კონტაქტები მნიშვნელოვანია, 15%ის აზრით, პირადი კონტაქტები ძალიან მნიშვნელოვანია, და მხოლოდ 28%ს მიაჩნია, რომ ასეთი კონტაქტები მნიშვნელოვანი არ არის.

შეკითხვაზე, როგორ მოიქცეოდნენ კორუფციის ფაქტის გამოვლენისას, პასუხისას რესპონდენტების 63% აცხადებს, რომ ისინი ასეთ ფაქტს გაასაჩივრებდნენ. 49% პროცენტი დარეკავდა ოფიციალურ „ცხელ ხაზზე“ (რომელიც საქართველოში არ არსებობს). გამოკითხულთა დიდი ნაწილი (46%) კორუფციის ფაქტის აღმოჩენისას არაფერს არ მოიმოქმედებდა, რადგან, როგორც ისინი აღნიშნავენ, კორუფციის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას აზრი არ აქვს. რესპონდენტების მეოთხედზე მეტმა არ იცის, ვის და როგორ უნდა შეატყობინოს კორუფციის ფაქტის შესახებ, ხოლო 21% სიფრთხილის გამო შეიკავებდა თავს.

15 ივლისი
საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის პრეზენტაცია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისთან საპარლამენტო ეთიკის საკითხებზე. ამ თანამშრომლობის შედეგად 2012 წლის აპრილში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ჩაატარა კვლევა იმაზე, თუ რატომ ვერ შეძლო საქართველოს პარლამენტის წევრთა 2004 წლის ეთიკის კოდექსმა მათი არაეთიკური ქცევის აღკვეთა. მოცემულ კვლევაზე დაყრდნობით „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ახალი მოწვევის პარლამენტის მიმართ ეთიკის კოდექსის სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არაერთი რეკომენდაცია შეიმუშავა, მათ შორის, იმის თაობაზე, რომ კოდექსი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის ნაწილი გახდეს და მისი დებულებების შესრულება სავალდებულო იყოს პარლამენტის წევრებისთვის, ასევე ამაღლდეს ეთიკის კოდექსის შესახებ პარლამენტის წევრებისა და საზოგადოების ცნობიერება. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის მხარდაჭერით მოეწყო ამ კვლევის პრეზენტაცია როგორც წინა, ისე ამუამინდელი მოწვევის პარლამენტის წევრებისთვის. ბოლო კონფერენციას, რომელიც 2013 წლის 15 ივლისს გაიმართა, თავად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი, დაესწრო და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებისადმი აქტიური მხარდაჭერა გამოხატა. მისი ინიციატივით იგეგმება სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის მუშაობაში პარლამენტის წევრები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები მიიღებენ მონაწილეობენ და რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით პარლამენტის წევრებისთვის ახალ, სავალდებულო ეთიკის კოდექსს შეიმუშავებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ პროცესში აქტიურად ჩაერთვება.

ზუგდიდის ოფისი

საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისი 2012 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს. 2013 წელს იგი აქტიურად იყო ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენის, მიღების და ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგის პროცესში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა 2014 წლის ბიუჯეტში ორგანიზაციის წარმომადგენლობის რამდენიმე რეკომენდაცია გაითვალისწინა, მათ შორის, წინადადებები ე. წ. უფასო სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის, სოციალურად დაუცველ, უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებზე ერთჯერადად 100-ლარიანი დახმარების გაცემის ნაცვლად სოციალური საცხოვრისის აშენების, ასევე კონფლიქტისპირა სოფლის, ხურჩის, მოსახლეობისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას შეღავათების დაწესების შესახებ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვის მონიტორინგის ნაწილია მოხელეებზე პრემიებისა და ფინანსური დახმარების გაცემის პროცესზე დაკვირვება. რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ზუგდიდის ოფისმა მოხელეებზე გაცემული სახელფასო დანამატებისა და დახმარების შესახებ სრული ინფორმაცია გამოაქვეყნა, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოებს პრემიების გაცემის წესის შეცვლასთან დაკავშირებით კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართა, თუმცა ამ მიმართვას დღემდე შედეგი არ გამოუღია.

ზუგდიდის ოფისმა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობაც შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ ამ ბიუროებში სხვადასხვა რაოდენობის პირები არიან დასაქმებული. გამოვლინდა მეტ-ნაკლებად აქტიური და პასიური ბიუროები. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ბიუროების უმეტესობა ძირითადად მოქალაქეებისგან განცხადებების მიღებაზეა ორიენტირებული და არ ახორციელებს მუნიციპალური პრობლემების მოკვლევას, რათა მაჟორიტარმა პარლამენტის წევრებმა კოლეგებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე დასვან ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობის საკითხი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ზუგდიდის ოფისმა 2013 წელს შეისწავლა, რეგიონის ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოების ვებგვერდების მონიტორინგს ეხება. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საჯარო ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვეყნებენ. ორგანიზაციის წარმომადგენლობამ მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ადმინისტრატორები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლები მოიწვია, მათ კვლევის შედეგები გააცნო და კონკრეტული რეკომენდაციებიც მისცა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის შემდეგ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გაცილებით მეტი ინფორმაცია გამოქვეყნდა.

2013 წელს ზუგდიდის ოფისმა მუნიციპალიტეტში არსებულ ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობაც შეისწავლა. კვლევის შედეგები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთ-ერთ ვებგვერდზე („თბილისის მიღმა“) გამოქვეყნდა. აღმოჩნდა, რომ ნაგავსაყრელი ჯეროვნად შემოღობილი არ არის და იქ შეღწევა შინაურ პირუტყვს თავისუფლად შეუძლია. სიტუაცია სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, რათა გარემოს უფრო მეტი ზიანი არ მიადგეს.

2013 წელს ზუგდიდის ოფისმა „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ მოაწყო რამდენიმე საჯარო განხილვა, რომლებსაც საჯარო და არასამთავრობო სექტორების, მასმედიის წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ამ განხილვების დროს ორგანიზაციის წარმომადგენლობის მიზანი საზოგადოების ინფორმირებულობის და სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშ-ვალდებულების გაზრდა იყო.

საჯარო შეხვედრებს შორის გამოსაყოფია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ პროექტის განხილვები. ამასთანავე, ორგანიზაციის წარმომადგენლობამ სპეციალური განხილვა მიუძღვნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქუჩების რეაბილიტაციის და სამოქალაქო აქტივობის საკითხებს. როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ასეთი შეხვედრები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მოქალაქეებს ადგილობრივ პროცესებში ჩართვის მეტ შესაძლებლობას აძლევს.

შეხვედრები სოფლებში

რა იციან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თვითმმართველობის შესახებ? რამდენად ინფორმირებული არიან საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებზე? მიუღიათ თუ არა მონაწილეობა საკრებულოთა სხდომებში? გამოუთხოვიათ თუ არა საჯარო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებიდან? რა გზას მიმართავენ, როცა მათი საკუთრების, რელიგიის თუ სხვა კონსტიტუციური უფლება ილახება? – ამ კითხვებზე პასუხების მიღებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისი მთელი წლის განმავლობაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისგან ცდილობდა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში 30 შეხვედრა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარტნიორ ორგანიზაციებთან – „სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევების ცენტრთან“ და ასოციაცია „ათინათთან“ – ერთად გამართა. ამის საშუალება მას „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში პროექტის „საზოგადოების ჩართულობა დემოკრატიული თვითმმართველობისათვის“ გამარჯვებამ მისცა. კოალიციური პროექტი 2013 წლის ივლისში დაიწყო და ექვსი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. პროექტის ფარგლებში ჩვენი ორგანიზაცია, სოფლების მკვიდრთა გარდა, ზუგდიდში არსებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც შეხვდა და თვითმმართველობის საკითხებზე სემინარები გამართა. იმავდროულად, ის ყოველთვიურად აქვეყნებდა კვლევებს მუნიციპალურ პრობლემებზე, მათ შორის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე, სახელმწიფო ტენდერებზე, ქალაქში პარკირების სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობასა და დასუფთავების სამსახურის მუშაობის გაუმჯობესებაზე. ცალკე კვლევა მიეძღვნა ონარიის დასახლებაში შექმნილ უმძიმეს სიტუაციას. პროექტის დონორი შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო იყო.

ორგანიზაციის სტუმრები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისმა არაერთი საერთაშორისო მისიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადი სიტუაცია, ბიუჯეტის პრიორიტეტები და დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობები იქნა განხილული. NDI-ს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე კი აქცენტი წინასაარჩევნო გარემოს და პოლიტიკურ სუბიექტთა აქტივობებზე გაკეთდა. 2013 წლის 17 სექტემბერს ორგანიზაციის წარმომადგენლობას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, რიჩარდ ნორლანდი, სტუმრობდა. დიპლომატის კითხვები წინასაარჩევნო გარემოს და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ აღმოჩენილ დარღვევებს ეხებოდა. 10 ოქტომბერს იმავე თემაზე გაიმართა საუბარი საქართველოში ესტონეთის ელჩთან, პრიიტ ტურკთან. რიჩარდ ნორლანდი, ზუგდიდს მოგვიანებით, 25 ოქტომბერსაც ეწვია. ზუგდიდის ოფისის ორგანიზებით ელჩს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეხვდნენ, რომლებიც წინასაარჩევნო აქტივობებს აკვირდებოდნენ.

გვისმინეთ სამეგრელოში 105.9 FM-ზე ან www.radioatinati.ge ზე!

2013 წლის 14 თებერვალს რადიო „ათინათის“ პირდაპირ ეთერში პირველად გავიდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის და ასოციაცია „ათინათის“ ერთობლივი რადიოგადაცემა – „ჩვენი თვითმმართველობა“. გადაცემის მომზადება და ეთერში გაშვება ორგანიზაციის წარმომადგენლობასა და ასოციაციას შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ყოველ ხუთშაბათს, 16:05 საათიდან ნახევარი საათი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის შესაძლებლობების განხილვას ეთმობა. გადაცემის სტუმრები სხვადასხვა დროს იყვნენ: სტუდენტები, სკოლის პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელები, არქიტექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მმართველი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. გადაცემა გახდა ერთგვარი პლატფორმა საჯარო განხილვებისთვის სახელმწიფო მოხელეთა ანგარიშვალდებულების გაზრდის და მოქალაქეთა უფრო გააქტიურების პროცესში.

აგვისტო

INTERNATIONAL
W.TRANSPAR
Transparency International Georgia

სტაჟიორები ორგანიზაციის ოფისებში

ჩვენი ორგანიზაცია წლებია, სტაჟირების პროგრამას ახორციელებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 45 თანამშრომლიდან 15 ყოფილი სტაჟიორია. სამთვიანი სტაჟირების პერიოდში სტაჟიორები, რომელთა უმეტესობა სტუდენტები არიან, აქტიურად ერთვებიან მის ყოველდღიურ საქმიანობაში და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენენ. 2013 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სამჯერ გამოაცხადა სტაჟირების პროგრამა. სტაჟიორების პირველი ნაკადი თებერვლიდან მაისის ჩათვლით გადიოდა სტაჟირებას. მარიამ სახვაძეს, ნინო ბალარჯიშვილს, მარიამ კვარაცხელიას და მარიამ ბეგაძეს გვინდა მადლობა გადავუხადოთ.

2013 წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ოთხი ახალი სტაჟიორი ჰყავდა. სტაჟირების პროგრამის დამთავრების შემდეგ ორი მათგანი მისი თანამშრომელი გახდა – თამარ გზირიშვილი ანტიკორუფციული რეფორმების კვლევაში ჩაერთო, პელაგია მახაურმა კი ოფისის ასისტენტობა შეითავსა. დანარჩენი ორი სტაჟიორი, გვანცა იჩქითი და ნინო კარანაძე, სწავლას საზღვარგარეთ განაგრძობს. მოხარულები ვართ, როდესაც ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდები ჩვენი ორგანიზაციის ნაწილი ხდებიან!

2013 წლის სტაჟირების პროგრამის ბოლო ნაკადი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სექტემბერში მიიღო. გიორგი გუგენიშვილი, მარიამ დარახველიძე, რევაზ ტყემალაძე, თეონა ჯინჭარაძე და თორნიკე ძამუნაშვილი დეკემბრის ბოლომდე აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაში და ჩართული იყვნენ საპრეზიდენტო არჩევნების მონი-ტორინგის მისიაში.

ვიმედოვნებთ, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ გატარებული 3 თვე სტაჟიორებისთვის საინტერესო გამოცდილება იყო და რომ ჩვენს ორგანიზაციაში მიღებული უნარ-ჩვევები მათ მომავალ კარიერაში გამოადგებათ. ყველას წარმატებებს ვუსურვებთ!

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA
WWW.TRANSPARENCY.GE

კარიერა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“

პაატა ლოხიშვილი
ადამიანური რესურსების
მართვის მენეჯერი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“ თანამშრომლების რაოდენობის ზრდის პარალელურად აუცილებელი გახდა ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა და დანერგვა. ამისათვის პირველ ეტაპზე სამოქმედო გეგმის დონეზე შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის განვითარების პოლიტიკა. ეს დოკუმენტი გრძელვადიან პერსპექტივაში მოიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან კომპონენტს და მიზნად ისახავს თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას და მუდმივ განვითარებას.

მეორე ეტაპზე, 2014 წლის აგვისტოდან „საერთაშორისო გამჭვირ-ვალობა – საქართველოში“ დაიწყო წინასწარ დაგეგმილი სამუშაოებისა და აქტივობების განხორციელება. ამისათვის შემუშავდა ორგანიზაციის სტრუქტურის, შიდა კომუნიკაციის და კოორდინაციის მოქნილი და ეფექტიანი სისტემა, ასევე დაინერგა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტაციის, მონაცემთა ტიპის და ელექტრონული ბაზების ახალი ვერსიები.

ამის პარალელურად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქარ-თველომ“ ადამიანური რესურსების მართვის კუთხით შიდა კვლევების ჩატარება და სტატისტიკური ინფორმაციის მუდმივი ანალიზი დაიწყო. ჩამოყალიბდა რეკრუტინგის პროცესის ერთიანი და გამჭვირვალე სისტემა, რაც დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციაში კარიერის შექმნისა და გან-ვითარების შესაძლებლობას აძლევს. ამასთანავე, თანამშრომლების გარკვეული ნაწილი მუდმივად არის უცხოელი, რაც ხელს უწყობს კომფორტული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას და საინტერესო იდეების გენერირებას.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ თანამშრომლების პროფესიული მომ-ზადების და კარიერული განვითარების პოლიტიკა შეი-მუშავა. ამის შედეგად თითოეულ თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა, აიმაღლოს კვალიფიკაცია, გაიაროს სხვადასხვა სასერტიფიკატო კურსი და ტრენინგი. ეს პროცესი ხელს უწყობს მათი მუშაობის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას. ამასთანავე, მოტივაციისა და შეფასების თანამედროვე სისტემის გამოყენებით ხდება თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს და მისი შედეგების პერიოდული ანალიზი და მიღწევების შესაბამისად მათი კარიერული წინსვლა.

სექტემბერი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მზადება საპრეზიდენტო არჩევნების დღის მონიტორინგისთვის; ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისია

“საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” არჩევნებს 2006 წლიდან აკვირდება, თუმცა ფართომასშტაბიანი სადამკვირვებლო მისია პირველად 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე განვახორციელეთ და მთელი ქვეყნის მასშტაბით 300–ზე მეტ საარჩევნო უბანს დავაკვირდით. ასე რომ, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უკვე გამოცდილება შეძენილი გვქონდა.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება სექტემბერიდან დავიწყეთ. გადაწყდა, რომ ქვეყნის მასშტაბით 330 უბანს დავაკვირდებოდით, რითიც 73-დან 66 საარჩევნო ოლქს დავფარავდით. უბნების შერჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა. სტაციონარული დამკვირვებლების გარდა, საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებაში 40 მობილური ჯგუფის მონაწილეობაც დაიგეგმა.

სექტემბრის დასაწყისში მისიაში მონაწილეობის მისაღებად მოხალისეების მიღება დავიწყეთ. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური დაინტერესება არ არსებობდა, ძალიან ბევრმა მოხალისემ მოგვმართა. მოხალისეები უმეტესად სტუდენტები იყვნენ, ახალგაზრდები, რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროცესში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. თვის ბოლოსთვის 350-მდე მოხალისე ავიყვანეთ, რომლებიც შესაბამისი ტრენინგების გავლის შემდეგ მზად იქნებოდნენ მისიაში მონაწილეობის მისაღებად. შერჩევის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იყო მოხალისის უპარტიობა. არჩეულ მოხალისეებს ერთდღიანი ტრენინგები ჩაუტარეს ჩვენმა იურისტებმა. საპრეზიდენტო არჩევნებს “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო” დააკვირდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ციფრული მაუწყებლობა: საქართველოს რეალობა 2015 წლიდან

2015 წლის 17 ივნისს საქართველო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის, რაც ფერად ტელევიზიაზე გადასვლის შემდეგ მაუწყებლობის სფეროში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა რთული და ხანგრძლივი პროცესია. მან თავიდანვე ცხადყო, რომ არასამთავრობო სექტორის ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. 2013 წლის განმავლობაში ორგანიზაცია პერიოდულად მართავდა შეხვედრებს როგორც სამთავრობო უწყებების, ისე მაუწყებლების წარმომადგენლებთან და მათთან ერთად განიხილავდა აღნიშნული პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვის შესაძლებლობებს.

2013 სექტემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკუთარი ხედვაც წარმოადგინა. დოკუმენტში, რომელიც ტელემაუწყებლებს, სატელეკომუნიკაციო კომპანიებს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, საქართველოს იუსტიციის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებს გადაეგზავნათ, დეტალურადაა განხილული აღნიშნული ხედვა და შესაბამისი სამთავრობო უწყებებისთვის რეკომენდაციებიც არის მოცემული.

დავიცვათ დედაქალაქის მწვანე საფარი!

2013 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის საქმიანობის კვლევა განაახლა (2012 წელს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენი ორგანიზაციის კვლევას ბარათაშვილის ქუჩაზე დასარგავი ხეების შესყიდვის მიზნით თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის შესახებ).

2013 წლის აპრილში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბლოგზე გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულ იქნა კორუფციის საფრთხეები, რომლებსაც თბილისის მერიის მიერ ქალაქის ტერიტორიაზე ხეების მოჭრის, ფორმირებისა და გადაბელვის მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერები შეიცავდა. საინტერესოა, რომ ჩვენი ორგანიზაციის მიერ ამ სტატიაში გამოთქმული ვარაუდები დიდწილად დაადასტურა თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში ჩატარებული აუდიტის დასკვნამ, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რამდენიმე თვის შემდეგ გამოაქვეყნა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აპრილშივე გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თბილისის მერია განაგრძობდა თანამშრომლობას კომპანია „გრინსერვისთან“, რომელიც იმ დროს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში იყო შეყვანილი და რომელთან კონტრაქტებიც თბილისის მერიამ 2012 წელს ჩვენი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ გაწყვიტა.

2013 წლის აგვისტოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ თბილისის ერთ-ერთ სარეკრეაციო ზონაში – კუს ტბის ფერდობზე – რესტორნის მშენებლობას გამოეხმაურა და გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გადავიდა ეს ნაკვეთი პარლამენტის წევრ არჩილ გეგენავასთან დაკავშირებული კომპანიის საკუთრებაში.

ბათუმის ოფისი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბათუმის ოფისი მონიტორინგს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირებას, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს საქმიანობას და სასამართლო პროცესებს. მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის ოფისი ჩართულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო კომისიების მუშაობაში როგორც ხმის უფლებით, ისე დამკვირვებლის სტატუსით. ოფისის იურისტების მთავარი ფუნქცია მოქალაქეებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევაა.

2013 წლის განმავლობაში ბათუმის ოფისი აქტიურად მონაწილეობდა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვაში, რომელზედაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ არარენტაბელური პროექტების დაფინანსების შესახებ შენიშვნები გამოთქვა; ორგანიზაციის შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა და ქალაქის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტის ფარგლებში მოექცა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო მონიტორინგის ნაწილია მუნიციპალიტეტებში გაცემული პრემიებისა და პროექტებისთვის თვალყურის დევნება. გაცემული პრემიებისა თუ პროექტების შესახებ მონაცემებს ორგანიზაცია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად მოიპოვებს. გამოთხოვილი მასალა ანალიტიკურად მუშავდება. 2013 წელს ბათუმის ოფისმა გამოაქვეყნა ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაცემული სახელფასო დანამატების თაობაზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას პრემიების გაცემის სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდისთვის კონკრეტული რეკომენდაციები მისცა, თუმცა ხელისუფლებას, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, ამ მიმართულებით არაფერი შეუცვლია.

ბათუმის ოფისმა მოამზადა პირველი ანგარიში აჭარის რეგიონის მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის შესახებ. კვლევის მთავარი მიზანი ამ ბიუროების მუშაობის ეფექტიანობის შესწავლა და მათ მიერ საკანონმდებლო თუ ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ინიციირებული საკითხების რაოდენობის გამოვლენა იყო. როგორც კვლევამ აჩვენა, ამ კუთხით პარლამენტის წევრთა აქტიურობა ძალიან დაბალია (თითქმის ნულის ტოლია) და მათი მთავარი საქმიანობა მოქალაქეების საჩივრებზე პასუხების გაცემაა. ბათუმის ოფისი ზემოაღნიშნული ბიუროების მუშაობის ანალიზის შესახებ ანგარიშების ყოველ 6 თვეში გამოქვეყნებას გეგმავს.

ორგანიზაციის სტუმრები

2013 წლის ოქტომბერში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მოსამზადებელ პერიოდში და თვით არჩევნების მიმდინარეობისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბათუმის ოფისს ხშირად სტუმრობდა არჩევნებზე გამოგზავნილი ყველა გრძელვადიანი და მოკლევადიანი საერთაშორისო დამკვირვებელი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან, ფინეთიდან და ყაზახეთიდან. ორგანიზაციამ მათ არაერთხელ გაუწია დახმარება, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპეციფიკა გააცნო და უკეთესი ორიენტაციისთვის აჭარის რეგიონის რუკა გადასცა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ განსაკუთრებული პატივი იყო არჩევნების მსვლელობისას საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩთან, ალექსანდრა ჰოლთან, შეხვედრა.

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ ნორლანდის, მიწვევით ჩვენმა ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ინტერკულტურულ დიალოგში, რომელიც რელიგიურ შემწყნარებლობას ეხებოდა. აჭარის რეგიონში ტრადიციულად რამდენიმე ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს. ამიტომ რელიგიურ შემწყნარებლობასაც დიდი ყურადღება ექცევა. ოქტომბერში სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟთან დაკავშირებულმა მღელვარებამ დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის გამართვის საჭიროება შექმნა. ამ შეხვედრაზე ბათუმის ოფისმა ერთ-ერთი მედიატორის როლი იკისრა. აღნიშნული შეხვედრის შემდეგ, 2013 წლის ნოემბერში აჭარის რეგიონული კოორდინატორი დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს თანამშრომლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიალს, რომელიც აშშის სამხედრო გემზე, „Mount Whitney-ზე“, მოეწყო.

ბათუმის ოფისის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცხადებული ტენდერების მონიტორინგია. ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის შესაძენი ავტომანქანის შესახებ გამოცხადებულ ტენდერს, რომლის ფასი 83 ათასი ლარი იყო. ჩვენმა ორგანიზაციამ მასმედიასთან აქტიური თანამშრომლობით ხმა ცენტრალურ ხელისუფლებას მიაწვდინა, რის შედეგადაც აღნიშნული ტენდერი გაუქმდა, თუმცა ის დღემდე განსჯის საგნად რჩება.

ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში ბათუმის ოფისმა აჭარის რეგიონის 6 საჯარო სკოლაში ბავშვებისთვის ადაპტირებული პრეზენტაცია მოაწყო. ამასთანავე, ბათუმის ყველაზე ნაკლებად გამწვანებულ უბანში, ე. წ. ლტოლვილების უბანში, სიმბოლური აქცია ჩატარდა – მარადმწვანე ხეები დაირგო. მასმედიამ სრულად გააშუქა ორგანიზაციის წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული აქტივობები და დადებითად შეაფასა ისინი.

ოქტომბერი

27 ოქტომბერი
საპრეზიდენტო არჩევნები



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მონიტორინგი გაუწია 2013 წლის საპრეზიდენტო არ-ჩევნებს. მას 370 ადგილობრივი დამკვირვებელი ჰყავდა. ორგანიზაციის სტაციონარული დამკვირვებლები მთე-ლი ქვეყნის მასშტაბით 330 საარჩევნო უბანზე იყვნენ გადანაწილებული და 73 საარჩევნო ოლქიდან 66 მოიცვეს.

საარჩევნო პროცესი დღის განმავლობაში ძირითადად მშვიდ და თავისუფალ გარემოში მიმდინარეობდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებს ადმინისტრაციული რესურსების გამო-ყენების, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების წევ-რებისა და აქტივისტების მიერ ამომრჩევლებზე პირ-დაპირი ზეწოლის განხორციელების არცერთი ფაქტი არ დაუ-ფიქსირებიათ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მთელი ქვეყნის მასშტაბით 80-მდე ყურადსაღები პროცე-დურული დარღვევა დააფიქსირა. ორგანიზაციის დამ-კვირვებლებმა 36 საჩივარი დაწერეს.



ნოემბერი
ნამდვილი ამბები

მაია გვანცელაძის საქმე

„1992 წლიდან მეტრო „ღრმაღელის“ მიმდებარე ტერიტორიაზე თვითნებურად დავიკავე მიწის ნაკვეთი და პატარა მაღაზია ავაშენე. ვიცი, კანონდარღვევა იყო ჩემი ქმედება, მაგრამ ოჯახი უნდა მერჩინა და ეს იყო მაშინ ერთადერთი საშუალება“, – განაცხადა 2012 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფასო იურიდიული დახმარების ცენტრში კონსულტაციაზე მოსულმა მაია გვანცელაძემ. როგორც გაირკვა, მაია გვანცელაძემ კანონის მოთხოვნათა დაცვით მიმართა თბილისის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის აღიარების და მისთვის საკუთრების მოწმობის გადაცემის მოთხოვნით. თუმცა კომისიამ მიწის ნაკვეთზე აშენებული მაღაზია არ მიიჩნია კაპიტალურ შენობად, რაც თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა უნდა ყოფილიყო, და არ გადასცა მაია გვანცელაძეს საკუთრების მოწმობა. ნათელი იყო, რომ სახელმწიფომ შეზღუდა მაია გვანცელაძის საკუთრების უფლება. ამიტომ ორგანიზაციის იურისტმა, ზურაბ გველესიანმა, უფრო დეტალურად დაიწყო საქმის შესწავლა.

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უარის უსაფუძვლობისა და უკანონობის გამო 2013 წელს დავა სასამართლოში გაგრძელდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სამართლებრივი დახმარების ცენტრი მაია გვანცელაძეს საკუთარი უფლებების დაცვაში სამივე ინსტანციის სასამართლოში დაეხმარა. ორგანიზაციის იურისტების დამსახურებაა, რომ სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მაია გვანცელაძის სარჩელი და საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მაია გვანცელაძის განცხადების ხელახლა განხილვა დაავალა. სასამართლო გადაწყვეტილება უკვე აღსრულდა და საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მაია გვანცელაძის მიერ მეტრო „ღრმაღელის“ ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი მის საკუთრებად აღიარა.

მაია გვანცელაძის დახმარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროგრამის მიზანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია საკუთრების უფლების თემებზე საზოგადოებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ადვოკატირებაც. პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს და იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება.

ლეილა ნარიმანიძის საქმე

2012 წლის 28 ივნისიდან ოქტომბრამდე, წინასაარჩევნო პერიოდში, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე საჯარო რეესტმა ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე 487569 რეგისტრაცია განახორციელა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე და ამ რეგისტრაციებზე შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერებიც გასცა. პროექტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის ქმედებამ ძალიან ბევრი ადამიანი დააზარალა. ლეილა ნარიმანიძე ერთ-ერთი მათგანი იყო. მან საჯარო რეესტრში ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეიძინა, საჯარო რეესტრმა კი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მის რეგისტრაციაზე უარი განაცხადა, რადგან არ არსებობდა გამყიდველის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი სწორედ საჯარო რეესტრის ამონაწერია; ასევე მოქმედებს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ამიტომ როდესაც ლეილა ნარიმანიძემ საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე შეიძინა მიწის ნაკვეთი, ითვლებოდა, რომ ამონაწერში მითითებული პირი იყო მიწის ნაკვეთის კანონიერი მესაკუთრე. ამდენად, ლეილა ნარიმანიძეს უკანონოდ ეთქვა უარი ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე. საჯარო რეესტრის უარის უკანონობის გამო დავა სასამართლოში გაგრძელდა.

სასამართლოში ლეილა ნარიმანიძის ინტერესებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტები იცავდნენ. 2013 წლის 16 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა, ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრის უარი უკანონოდ მიიჩნია და საჯარო რეესტრს რეგისტრაციის განხორციელება დაავალა. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის არის ამ საკითხზე მიღებული პირველი გადაწყვეტილება, რომელიც, ვიმედოვნებთ, საჯარო რეესტრის უკანონო რეგისტრაციებით დაზარალებულ პირთა უფლებების აღსადგენად გარკვეულ, სწორ პრაქტიკას ჩამოაყალიბებს.

ლეილა ნარიმანიძის დახმარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროგრამის მიზანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია საკუთრების უფლების თემებზე საზოგადოებისთვის უფასო იურიდიული დახმარების განევა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ადვოკატირებაც. პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს და იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება. ორგანიზაციაში ასევე ფუნქციონირებს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი საკუთრების უფლებების დარღვევის და უკანონო დათხოვნის შემთხვევების შესწავლა და იურიდიული დახმარების განევაა. ცენტრს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.

ხელვაჩაურის „ოცნების ქალაქი“ კარვებში

ეს ხელვაჩაურში, 53–ე ბატალიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ამბავია. ჩვენმა ორგანიზაციამ ათასობით ადამიანის უკიდურესად მძიმე სოციალური ფონი შეისწავლა და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მსოფლიო ბავშვთა დღის ფარგლებში „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები ქართველი ბავშვების შელახულ უფლებებს.

2012 წლის ოქტომბერში ქ. ბათუმის ხელვაჩაურის ადმინისტრაციულ რაიონში ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ათასობით სოციალურად დაუცველი ოჯახი დასახლდა. ძალიან მოკლე დროში 3000 ქოხი 90 ათას ჰექტარზე განთავსდა. უკეთესი ცხოვრების იმედით გაშლილ მინდორზე შუახევიდან, ქედიდან, ქობულეთიდან, ხიხაძირიდან, წალკიდან და გურიიდან ათასობით ადამიანმა დაიდო ბინა. დროთა განმავლობაში 3000 ოჯახიდან 832 დარჩა (დასახლების გადაწყვეტილება მათ არჩევნების წინა პერიოდში სხვადასხვა ადამიანის, პოლიტიკური პარტიის თუ გამგებლის გავლენით მიიღეს).

ამ ოჯახებს მცირეწლოვანი ბავშვებით შეუფერებელ გარემოში, უწყლოდ, უშუქოდ და უგაზოდ უწევთ თავის გატანა. განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა ქარიან და წვიმიან ამინდებში, როდესაც უკიდურესად ვიწრო საცხოვრებლებში წყალი და სიცივე აღწევს. ეს ჰუმანიტარული კრიზისის მაგალითია.

ეს ადამიანები 2013 წლის ოქტომბრიდან ჩვენი ორგანიზაციის უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობენ. მათ ხელისუფლებასთან პრობლემების გადასაჭრელად 24 საათიან რეჟიმში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ბათუმის ოფისი შუამდგომლობს. სწორედ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციითა და შუამდგომლობით დამონტაჟდა აღნიშნულ დასახლებაში შუქის საერთო მრიცხველი. ეს უდიდესი სიხარული იყო მათთვის, ვინც წელზე მეტ ხანს სრულ იზოლაციაში ცხოვრობდა.

ასევე საგულისხმოა, რომ 2013 წლის დეკემბრის დიდთოვლობის დროს ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ „ოცნების ქალაქის“ დასახლება ცხელი საკვებით მოამარაგა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე განთავსებულმა ფოტომასალამ და აჭარის ხელისუფლებისადმი მიმართვამ დააინტერესა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ადამიანის უფლებებზე მომუშავე თანამშრომლებიც, რომლებმაც აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად აჭარის ომბუდსმენი მოინახულეს. ბათუმის ოფისისთვის პრიორიტეტი მუნიციპალური სახლების მშენებლობაა და იგი უკიდურესად გაჭირვებული ფენის მხარდაჭერასა და დახმარებას განაგრძობს.

ხელვაჩაურის „ოცნების ქალაქის“ პრობლემას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეისწავლის. პროექტის ერთერთი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების გაუმჯობესებაა.

ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის გამო იმერეთის სოფლებში შექმნილი პრობლემები

ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის გამო სოფელ არგვეთაში მცხოვრებ 20მდე ოჯახს მაგისტრალის გასწვრივ არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა დაეკისრა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი მესაკუთრეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ჩვენმა ორგანიზაციამ ადგილობრივ მოსახლეობას ექსპროპრიაციის პროცედურების, აგრეთვე ალტერნატიული ფასის განსაზღვრის მექანიზმების შესახებ კონსულტაცია გაუწია. თუმცა ალტერნატიული ფასის დადგენასა და სასამართლო დავის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების გამო მოქალაქეები შეთავაზებულ ფასს დათანხმდნენ.

გარდა ამისა, ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის გამო სოფელ შორაპანში მცხოვრები რამდენიმე ოჯახი ვერ სარგებლობს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით, ხოლო სოფელ წიფლნარას მოსახლეობას სამოძრაო გზა გაუუქმდა. კონტრაქტორ კომპანიას შესაბამისი კომპენსაცია არ გაუცია. 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, არც ალტერნატიული სამოძრაო გზა იყო მოწყობილი. ადგილზე დათვალიერების შემდეგ მოსახლეობას კონსულტაცია გაეწია. ორგანიზაცია პრობლემის გადასაჭრელად „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობას დაუკავშირდა.

ამასთანავე, ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის გამო სოფელ ქვიშხეთში არსებული სახლები დაზიანდა, რამდენიმე მათგანი კი სიცოცხლისთვის საშიში გახდა. მოპოვებული ინფორმაცია რეაგირებისთვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გადაეცა. ორგანიზაციის წარმომადგენელი საავტომობილო გზების დეპარტამენტის, მშენებელი კომპანიის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრას დაესწრო.

ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობაზე დაკვირვება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროექტის მიზანი მთელი ქვეყნის მასშტაბით საკუთრების ხელყოფის ფაქტების გამოვლენაა. პროექტით ასევე გათვალისწინებულია დაზარალებული პირებისთვის იურიდიული დახმარების გაწევა, რეგიონების მოსახლეობის ინფორმირება საკუთრების უფლების რეგისტრაციის და მიწის ნაკვეთების ლეგალიზაციის შესახებ. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საკუთრების უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების ადვოკატირებაც.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელი პერევისა

სოფელ პერევისას მოსახლეობასთან შეხვედრისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ „Georgian Manganese“-ს მიერ წიაღისეულის მოსაპოვებლად წარმოებული სამუშაოები საცხოვრებელ სახლებს და ნიადაგს აზიანებს და გამოსაყენებლად უვარგისს ხდის. „Georgian Manganese“-ს ადმინისტრაციასთან შეხვედრის შედეგად კი დადგინდა, რომ კომპანია კომპენსაციას იმ ოჯახებზე გასცემს, რომელთა მიწის ნაკვეთების გასწვრივაც წიაღისეულს მოიპოვებს. კომპენსაცია გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუ პირი კომპანიას წარუდგენს ავტორიტეტული სუბიექტის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომელიც ზიანის წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიყენებას დაადასტურებს.

სოფელ პერევისას მცხოვრებლებს შესაბამისი განმარტებები მიეცათ. „Georgian Manganese“-ს ადმინისტრაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ მათ ნაწილს კომპენსაციის გადახდა შესთავაზა.

სოფელ პერევისას მცხოვრებლების დახმარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროგრამის მიზანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია საკუთრების უფლების თემებზე საზოგადოებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ადვოკატირებაც. პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს და იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება. ორგანიზაციაში ასევე ფუნქციონირებს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი საკუთრების უფლებების დარღვევის და უკანონო დათხოვნის შემთხვევების შესწავლა და იურიდიული დახმარების გაწევაა. ცენტრს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.

კახაბერ მაჩიტიძე
სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახურის ორჯერ გათავისუფლებული უფროსი

ქუთაისის მერიამ სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახურის უფროსი, კახაბერ მაჩიტიძე, სამი თვის განმავლობაში ორჯერ გაათავისუფლა.

პირველად იგი 2013 წლის 24 ივნისს, რეორგანიზაციის მოტივით გათავისუფლდა, ხოლო მეორედ – დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლით. გადაწყვეტილება ორივე შემთხვევაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა. პირველ შემთხვევაში გათავისუფლება უკანონოდ იქნა მიჩნეული და ქუთაისის მერიას კახაბერ მაჩიტიძის დაუყოვნებლივ აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობის მიუხედავად, მერიამ იგი მხოლოდ იძულებითი აღსრულების პროცედურების დაწყების შემდეგ, თითქმის ერთი თვის დაგვიანებით აღასრულა.

თანამდებობაზე აღდგენილი კახაბერ მაჩიტიძე სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულებას 2013 წლის 16 სექტემბერს შეუდგა. თუმცა 4 დღეში მისი სამსახურიდან გათავისუფლების ახალი პროცესი დაიწყო. პირველ ეტაპზე სამსახურის უფროსის დასწრება შემოწმდა და აღმოჩნდა, რომ ის კაბინეტში არ იმყოფებოდა. კაბინეტში არყოფნის ფაქტი საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ქუთაისის მერს ახალი წარმოება დაეწყო ახალაღდგენილი მოხელის ისევ გასათავისუფლებლად. როგორც ჩანს, მერიაში გააცნობიერეს, რომ კახაბერ მაჩიტიძეს, რომელსაც მანამდე დისციპლინური გადაცდომა ჩადენილი არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი გაცდენის გამო ვერ გაათავისუფლებდნენ. სწორედ ამიტომ „დამატებითი ძალების მოკრება“ დაიწყო და კიდევ ერთი, ამჯერად უფრო სერიოზული შემოწმების ჩატარება დაიგეგმა. 30 სექტემბერს სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო სამსახურის უფროსის საქმიანობის შესწავლა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში 4 დღის მიღებულ ორ აუდიტორს დაეკისრა. მერიას მიზანი არც ამჯერად დაუმალავს – უნდა შესწავლილიყო არა ზოგადად სამსახურის, არამედ მისი ყოფილი და ახალაღდგენილი ხელმძღვანელის საქმიანობა. ერთთვიანი შემოწმების შემდეგ აუდიტისა და კონტროლის სამსახურმა დასკვნა წარმოადგინა და კახაბერ მაჩიტიძის სამსახურიდან გათავისუფლება მოითხოვა, ისე, რომ დარღვევების არსებობა-არარსებობის საკითხი არ განხილულა. ამის შედეგად 16 სექტემბერს სამსახურში აღდგენილი კახაბერ მაჩიტიძე 1 ნოემბერს კიდევ ერთხელ გაათავისუფლეს.

პარადოქსია, მაგრამ ქუთაისის მერიამ კახაბერ მაჩიტიძის პირველად გათავისუფლების გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდეგ – საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, სააპელაციო ინსტანციაში პროცესის წაგების შემდეგ უზენაესი სასამართლოს იმედად ყოფნა არ ისურვა და სამსახურის უფროსი განმეორებით გაათავისუფლა. სანამ უზენაესი სასამართლო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს, კახაბერ მაჩიტიძე მეორედ გათავისუფლების გამო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება, რომ გაასაჩივროს და კიდევ ერთხელ სამსახურში აღდგენის იმედი ჰქონდეს.
შეუძლებელი არაფერია. მართალია, 2013 წელი უკვე დასრულდა და სამსახურის უფროსმა ერთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე თანამდებობაზე მხოლოდ ორჯერ დანიშვნა მოასწრო, მაგრამ 2014 წელი წინ არის და აპელაციის პროცესებიც გველოდება. მისი სამსახურში აღდგენის შემთხვევაში ქუთაისის მერიასაც აქვს გამოწვევა – მესამედ გათავისუფლებისთვის მას უკეთესი საფუძველი დასჭირდება, ვიდრე რეორგანიზაცია, სამსახურში დასწრება და სახელდახელო აუდიტორული შემოწმებაა.

კახაბერ მაჩიტიძის დახმარება შესაძლებელი გახდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფასო იურიდიული დახმარების ცენტრის მეშვეობით, რომლის მთავარი მიზანი საკუთრების უფლებების დარღვევის და უკანონო დათხოვნის შემთხვევების შესწავლა და იურიდიული დახმარების გაწევაა. ცენტრს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.

ონარიის დასახლება – 21-ე საუკუნის რეალობა სამეგრელოში

ზუგდიდის ცენტრიდან 3 კილომეტრში ონარიის დასახლება მდებარეობს. შენობები, რომელთა ექსპლუატაციის ვადა გასულია, სასმელი წყლის და კანალიზაციის მოუწესრიგებელი სისტემები, სიცივე, უკიდურესი გაჭირვება და ავადმყოფობა – ასეთ პირობებში უწევს ცხოვრება 200-მდე ოჯახს. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ისიც არის, რომ დასახლების სანიაღვრე არხს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახლომდებარე შენობიდან გამომავალი საკანალიზაციო მილი უერთდება. ამის გამო დასახლებაში სასმელი წყალი არაერთხელ გამხდარა ჯანმრთელობისთვის საშიში. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისმა შეისწავლა დასახლების საჭიროებები, გამოაქვეყნა ბლოგი და პრობლემების გადასაჭრელად შესაბამის უწყებებს მიმართა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ 2014 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ონარიაში მდგარი შენობების ნაწილს გადახურავს და საბავშვო მოედანსაც მოაწყობს. ამასთანავე, ორგანიზაცია ელოდება წერილებზე პასუხებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომელზედაც საკანალიზაციო მილთან დაკავშირებით გამახვილდა ყურადღება.

ონარიის დასახლების პრობლემას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეისწავლის. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების გაუმჯობესებაა.

კანთის სკოლა საკუთარი შენობის გარეშე და თაიას ბაღი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ კანთში სკოლა 2010 წელს დაიწვა, რამაც სკოლის ადმინისტრაცია იძულებული გახადა, იქვე მდებარე ყოფილი მაღაზიის ფართობი დაექირავებინა და სასწავლო პროცესი იქ გაეგრძელებინა. სკოლაში ამჟამად სულ 21 მოსწავლეა. ისინი სიცივის, ინვენტარის სიმცირისა და სველი წერტილების უქონლობის პირობებში სწავლობენ. 13 მოსწავლე სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა. სკოლას წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად შეშით ამარაგებს, მაგრამ საკლასო ოთახებში რკინის კარებისა და ტიხრების, აგრეთვე ძველი ფანჯრების არსებობის გამო სითბოს შენარჩუნება შეუძლებელია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის არაერთი წერილის მიუხედავად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დღემდე არ გამოუგზავნია ოფიციალური პასუხი შეკითხვაზე, თუ რას აპირებს უწყება აღნიშნული სკოლის ინფრასტრუქტურის აღსადგენად და სასწავლო პროცესის „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გასაგრძელებლად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კანთის სკოლის მსგავსად, საკუთარი შენობა არც ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ თაიას ბაღს აქვს. სკოლამდელი ასაკის 15 ბავშვს აღმზრდელები სოფლის ადმინისტრაციული შენობის ერთ ოთახში, ცხელი წყლისა და შესაბამისი ჰიგიენური პირობების გარეშე ზრდიან. პატარებს არც ინვენტარი ჰყოფნით და არც სათამაშოები. რამდენიმე პედაგოგმა თავისი ხელით დაწერა, მოხატა და საკუთარი ძალებითვე აკინძა ბავშვებისთვის განკუთვნილი წიგნები. 2013 წელს სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულმა 3500-მდე ლარმა ბაღის პირველადი საჭიროებებიც კი ვერ დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ასეთივე პრობლემებია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის არაერთ დაწესებულებაში. ამასთანავე, მუნიციპალურ ბაღებში გადასახადების მოხსნის შესახებ 2013 წელს მიღებულმა გადაწყვეტილებამ ბაღებზე მოთხოვნა გაზარდა და ზუგდიდში 550-მდე აღსაზრდელი ბაღის გარეთ დატოვა.

კანთის სკოლის პრობლემას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეისწავლის. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების გაუმჯობესებაა.

ზუგდიდის ქუჩებში ძაღლების დახოცვა

2013 წლის მარტში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისს მოქალაქემ მიაწოდა ფოტოები, რომლებზედაც ასახული იყო, თუ როგორ ხოცავდნენ „ზუგდიდდასუფთავების“ თანამშრომლები ქალაქის ქუჩებში მიუსაფარ ძაღლებს. მომხდარის დეტალების გარკვევის შემდეგ ორგანიზაციის წარმომადგენლობამ ფოტოები და ბლოგპოსტი გამოაქვეყნა. ცხოველებისადმი ასეთი სისასტიკე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება, თუმცა მიუსაფარი ძაღლების დახოცვის გამო არცერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ დასმულა. „ზუგდიდდასუფთავებასთან“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ უწყებამ სიტყვიერი პირობა დადო, რომ მსგავს მეთოდებს არ გამოიყენებდა. პრობლემის სათავე ის არის, რომ მუნიციპალიტეტებში არ არსებობს ე. წ. ქუჩის ძაღლების თავშესაფარი და არ ხდება მათი კასტრირება (აგრესიულობისა და ცოფის რისკის შესამცირებლად).

აღნიშნულ პრობლემას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეისწავლის. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების გაუმჯობესებაა.



შავღელე - ყველასგან დავიწყებული დასახლება

130-კომლიანი სოფელი ფოთი-ხობის გზიდან 6 კილომეტრში, წყალდიდობის საფრთხით და ათეულობით მძიმე ავადმყოფით – ასეთია შავღელეს რეალობა. იგი 1989 წელს დაზარალებული აჭარელი ეკომიგრანტებით არის დასახლებული. საგანგებოდ მათთვის აშენებული სახლების უმეტესობა კატასტროფულ მდგომარეობაშია, მათი სახურავებიც თითქმის განადგურებულია, ნესტი მძიმე ქრონიკულ დაავადებებს იწვევს, სეზონური წვიმები კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ტბორავს. სოფელში მოუწესრიგებელია სასმელი წყლის მიწოდების და სანიაღვრე სისტემები, არ ფუნქციონირებს ამბულატორია, მოუგვარებელია ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხიც. როგორც ჩანს, შავღელეს პრობლემების გადაჭრა ხობის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული არ არის. განსაკუთრებულ მხარდაჭერას ადგილობრივი მცხოვრებლები არც ცენტრალური ხელისუფლებისგან გრძნობენ.

შავღელის პრობლემას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეისწავლის. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების გაუმჯობესებაა.

უფასო სასადილოს ბენეფიციარები

2013 წლის ერთ-ერთი წარმატებული საქმე ზუგდიდში მოქმედ ე. წ. უფასო სასადილოს ეხება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის თანამშრომლებმა ბენეფიციართა სიაში დარღვევები აღმოაჩინეს და ინფორმაცია შესაბამის უწყებას მიაწოდეს, რის შემდეგაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბენეფიციართა შერჩევის წესის შეცვლაზე მუშაობა დაიწყო. ამასთანავე, ორგანიზაციის წარმომადგენლობის რეკომენდაციით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში აღნიშნული სოციალური პროგრამის დასაფინანსებლად გაცილებით მეტი თანხა გამოიყო, რის შედეგადაც ბენეფიციართა რაოდენობა 50-ით გაიზარდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გაცნობიერებული აქვს, რომ მსგავსი პროგრამა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქვეყნის არაერთი მოქალაქისთვის, თუმცა, ბუნებრივია, ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს არა ე. წ. უფასო სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდაზე, არამედ სამუშაო ადგილების შექმნაზე, რათა მოქალაქეებმა თავად შეძლონ საკუთარი თავისა და ოჯახების გამოკვება.

უფასო სასადილოს ბენეფიციარების პრობლემას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის ფარგლებში შეისწავლის. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირების გაუმჯობესებაა.



კომპანია „ვისოლი“ აღარ ყიდის „აპი სუპერის“ ბენზინს

2013 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ იტალიის საბაჟო სამსახურისა და საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციების შედარების საფუძველზე აღნიშნავდა, რომ იტა-ლიიდან საქართველოში იტალიური კომპანია „აპის“ ბენზინ „სუპერის“ (ოქტანური რიცხვი 98) იმპორტი რეგისტრირებული არ იყო. ამდენად, კომპანია „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე „აპი სუპერის“ ნიშანდებით გაყიდული ბენზინი არ შეესაბამებოდა „აპი სუპერის“ მახასიათებლებს. ეს გახლდათ მომხმარებლის უფლებების დარღვევა და უკანონოდ ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა, რაც კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა.

ასეთი ფაქტის არსებობა იმაზედაც მიუთითებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკა და ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის წესებისა და პრინციპების დაცვაზე ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობა. იმ პირობებში, როდესაც ამგვარი ზედამხედველობა არ ხორციელდება, კერძო კომპანიის ზემოაღნიშნული ქცევა შეიძლება მის მიერ ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით კონკურენტ ფირმებთან შედარებით უპირატესობის მოპოვების ცდად განიხილებოდეს (როგორც ცნობილია, იტალიური წარმოშობის პროდუქცია მომხმარებლისთვის მაღალ ხარისხთან ასოცირდება. ამდენად, საქონლის იტალიური წარმოშობის პროდუქტად ნიშან-დების გამო მისი შეძენისას შეიძლება მომხმარებელმა მცდარი არჩევანი გააკეთოს).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ის ნორმები განუმარტა, რომელთა თანა-ხმად, „აპი სუპერით“ უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) ბენზინის გაყიდვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. ორგანიზაცია მიესალმება იმ ფაქტს, რომ კომპანიამ გაითვალისწინა მისი რეკომენდაცია და აღმოფხვრა აღნიშნული შეუსაბამობა, კერძოდ, „ვისოლის“ ავტო-გასამართ სადგურებზე აღარ იყიდება „აპი სუპერის“ ნიშანდების ბენზინი.

სოფიო კობალაძის საქმე

სოფიო კობალაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მედეა ვასაძის, თანაშემწის თანამდებობიდან 2013 წლის 7 აგვისტოს გაათავისუფლეს, გადაწყვეტილების საფუძვლად კი სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მედეა ვასაძის, და, ზოგადად, დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენა მიუთითეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პირველივე დღიდან იცავდა სოფიო კობალაძის ინტერესებს სასამართლოში და მიაჩნია, რომ უმაღლესი საბჭო ხელოვნურად ქმნიდა სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს მისი თანამდებობიდან გათავისუფლებისთვის, რაც დადასტურდა კიდეც სასამართლო გადაწყვეტილებებით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოქალაქე დაკავებულ თანამდებობაზე აღადგინა, უმაღლეს საბჭოს კი იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დააკისრა. უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, თუმცა დავა ისევ სოფიო კობალაძის სასარგებლოდ დასრულდა.

სოფიო კობალაძის დახმარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროგრამის მიზანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს და იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება. ორგანიზაციაში ასევე ფუნქციონირებს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი საკუთრების უფლებების დარღვევის და უკანონო დათხოვნის შემთხვევების შესწავლა და იურიდიული დახმარების გაწევაა. ცენტრს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.

ყალბი დასკვნა

ლევან ლორთქიფანიძე 2013 წლის 5 ივნისს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარების საფუძვლით გაათავისუფლეს. ყოფილი თანამშრომელი უწყებაში ჩატარებული შემოწმების შედეგებს არ დაეთანხმა. მისი სურვილის შესაბამისად, ჩვენმა ორგანიზაციამ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართა. უწყების მიერ მომზადებულმა დასკვნამ გააბათილა სასაზღვრო პოლიციაში ჩატარებული შემოწმების შედეგი – ლორთქიფანიძის ორგანიზმი არ შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალებას. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება მისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, საბოლოოდ კი თბილისის საქალაქო სასამართლომ ლევან ლორთქიფანიძე თანამდებობაზე აღადგინა.

ლევან ლორთქიფანიძის დახმარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროგრამის მიზანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ადვოკატირებაც. პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს და იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება. ორგანიზაციაში ასევე ფუნქციონირებს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი საკუთრების უფლებების დარღვევის და უკანონო დათხოვნის შემთხვევების შესწავლა და იურიდიული დახმარების გაწევაა. ცენტრს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.

ზედდების საქმე

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების თანახმად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქალაქეებს საშუალება მიეცათ, მათ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლება ეღიარებინათ და საკუთრების მოწმობები მიეღოთ.

ნუგზარ შარაბიძეც ერთ-ერთი იყო, ვინც დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების მოწმობა მიიღო, თუმცა, როცა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების დარეგისტრირება გადაწყვიტა, აღმოჩნდა, რომ მიწის ნაკვეთი უკვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრება იყო (ე. წ. გადაფარვა (ზედდება)). „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ საკუთრების უფლების თემებზე საზოგადოებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევის პროექტის ფარგლებში სამართლებრივი დახმარება გაუწია ნუგზარ შარაბიძეს და სასამართლოს მიმართა. პროცესი არაერთხელ გადაიდო მორიგებით დამთავრების მიზნით. მას შემდეგ, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ზედდების საკითხების განმხილველი კომისია შეიქმნა, მან განიხილა ნუგზარ შარაბიძის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთის ზედდების საკითხი და სამინისტრომ გააუქმა სახელმწიფო საკუთრების უფლება გადაფარვის (ზედდების) ნაწილში. ორგანიზაციის რჩევით ნუგზარ შარაბიძემ სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა. ვინაიდან გადაფარვის პრობლემა არ არსებობდა, მას დაურეგისტრირდა საკუთრების უფლება საკუთრების მოწმობით აღიარებულ მიწის ნაკვეთზე.

ნუგზარ შარაბიძის დახმარება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ სასამართლო მონიტორინგისა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში გახდა შესაძლებელი. პროგრამის მიზანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია საკუთრების უფლების თემებზე საზოგადოებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ადვოკატირებაც. პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს და იგი აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მეშვეობით ხორციელდება. ორგანიზაციაში ასევე ფუნქციონირებს უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი, რომლის მთავარი მიზანი საკუთრების უფლებების დარღვევის და უკანონო დათხოვნის შემთხვევების შესწავლა და იურიდიული დახმარების გაწევაა. ცენტრს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებს.

დეკემბერი

3–9 დეკემბერი – ანტიკორუფციული კვირეული

9 დეკემბერი კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნული ბიუროები მას ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავენ, იქნება ეს ანტიკორუფციული სკოლის დებატები ინდოეთში, მშვიდობიანი სვლა შრი-ლანკაში თუ ხეების დარგვა საქართველოში. ყველანი ერთი გზავნილის გარშემო ვერთიანდებით: ჩვენ კორუფციისგან თავისუფალ საზოგადოებაში გვინდა ვიცხოვროთ!

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში 2013 წლის 3 დეკემბერს კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს შედეგები გამოაქვეყნა; 4 დეკემბერს მან ახალი ანგარიშის – „ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში: მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში“ – პრეზენტაცია მოაწყო; 5 დეკემბერს ორგანიზაციამ თბილისის ერთ-ერთ კაფეში გამართა არაფორმალური შეხვედრა-დისკუსია თემაზე „ნეპოტიზმი საჯარო სექტორში“; 6 დეკემბერს გაიმართა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კიდევ ერთი ახალი ანგარიშის – „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები – კორუფციის რისკები“ პრეზენტაცია გამართა; 7 დეკემბერს მისმა წარმომადგენლებმა თბილისსა და ბათუმში ხეები დარგეს; 9 დეკემბერს ანტიკორუფციული კვირეული დაიხურა კონფერენციით „ინფორმაციის ღიაობა: კორუფციასთან ბრძოლაში სამოქალაქო ჩართულობის შესაძლებლობები“. იმავე დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გაავრცელა განცხადება და კორუფციის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ საკუთარი მოსაზრება გააცნო საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს. განცხადება სამომავლო რეფორმის პრიორიტეტების ხედვასაც შეიცავდა.

მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების გადავადება ინციდენტი საქართველოს პარლამენტში

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პლენარულ სხდომაზე, რომელზედაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედების ორი წლით გადავადების საკითხი განიხილებოდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, ბანერების დემონსტრირებით გამოეხატათ უხმო პროტესტი საქართველოს მთავრობის ინიციატივასთან დაკავშირებით. პლენარულ სხდომათა დარბაზში გამოფენილ ბანერებზე ეწერა: „ადამიანის უფლებები ორი წელი ვერ მოიცდის“, „დაიცავით დაცვის უფლება“ და „უთხარით უარი გადავადებას“.

სამუშაო შეხვედრები რეგიონულ ჟურნალისტებთან: ბაკურიანი–ლოპოტა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 2013 წელს კვლავ განაგრძო რეგიონულ ჟურნალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და მის ფარგლებში მოაწყო შეხვედრების სერია „სამუშაო შეხვედრები რეგიონულ ჟურნალისტებთან“. ამ შეხვედრების მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება და მომავალი თანამშრომლობის დაგეგმვა.

2013 წლის 9 თებერვალს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ბაკურიანში შეხვდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან – აჭარიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, კახეთიდან და შიდა ქართლიდან – მოწვეულ ჟურნალისტებს, რომლებიც რეგიონულ გაზეთებს, ტელევიზიებს, რადიოებს და ონლაინმედიას წარმოადგენდნენ. ტრენინგზე საქართველოში საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრობლემები, სასამართლო მონიტორინგის შედეგები და მედიაგარემო განიხილეს. საკუთრების უფლებებზე ორგანიზაციის იურისტმა, ეკა ბოკუჩავამ, ისაუბრა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მედიაჯგუფმა, მათიას ჰუტერმა და მამუკა ანდღულაძემ, ჟურნალისტებს საქართველოს მედიაგარემოს შეფასება და ღია მონაცემთა ბაზები გააცნეს.

რეგიონულ ჟურნალისტებთან მეორე შეხვედრა უკვე ზაფხულში, ლოპოტაზე მოეწყო. ორდღიანი სემინარის ფარგლებში ისინი ჩვენი ორგანიზაციის უახლესი კვლევების (სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა, კონკურენცია საქართველოში, ღია მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის მოძიება) შედეგებს გაეცნენ. ჟურნალისტებისთვის პრეზენტაცია ჩვენმა სლოვაკმა კოლეგებმაც გამართეს. მათ ქართული მედიის წარმომადგენლებს სლოვაკეთის შესყიდვების სისტემის დადებითი მხარეები და ხარვეზები გააცნეს. ლოპოტაზე გატარებული უქმეები შინაარსობრივად დატვირთული იყო. მადლობა ყველა ჟურნალისტს, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“!

მედიაგუნდი სტუმრად რეგიონულ მედიასაშუალებებთან

2013 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა რეგიონული მედიასაშუალებებისთვის ტრენინგები გამართეს. ტრადიციული ტრენინგებისგან განსხვავებით, ორგანიზაციის თანამშრომლები ამჯერად თავად ესტუმრნენ ახალქალაქის („სამხრეთის კარიბჭე“, სომხური გამოცემა), ახალციხის („სამხრეთის კარიბჭე“, ქართული გამოცემა), ქუთაისის („ახალი გაზეთი“) და ხარაგაულის („ჩემი ხარაგაული“) მედიასაშუალებებს და რამდენიმე დღის განმავლობაში მათთან ერთად იმუშავეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლების რეგიონებში ჩასვლის მიზანი ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის მონაცემთა ჟურნალისტიკის პრინციპების გაცნობა და საჯარო წყაროებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის უნარების განვითარება იყო. ორგანიზაციის ანალიტიკოსებმა მათ რამდენიმე ოფიციალური და თავად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ შექმნილი ონლაინმონაცემთა ბაზა გააცნეს. ზოგიერთი ინტერნეტრესურსის არსებობის შესახებ, რომლებიც ჟურნალისტებისთვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს (მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, თანამდებობის პირთა დეკლარაციები, სამეწარმეო რეესტრი და სხვა), მედიასაშუალებებმა არ იცოდნენ. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციის წარმომადგენელთა ვიზიტების შემდეგ ზოგიერთმა მედიასაშუალებამ აქტიურად დაიწყო საჯაროდ ხელმისაწვდომი ინტერნეტრესურსების გამოყენება და მათზე დაყრდნობით სტატიებიც გამოაქვეყნა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საქართველოს პარლამენტში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო ოფისის მეშვეობით ახორციელებს პროექტს, რომლის მთავარი მიზანი საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საქართველოს პარლამენტის საქმიანობის უკეთ წარმართვისა და ორგანიზებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაა. 2013 წლის 25 ივლისს საქართველოს პარლამენტსა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

2013 წლის განმავლობაში ორგანიზაცია საპარლამენტო საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით ახორციელებდა:

კანონპროექტების ანალიზი:

ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული საკანონმდებლო პროცესში და ამა თუ იმ კანონპროექტთან დაკავშირებით შეიმუშავებდა მოსაზრებებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც მის ვებგვერდზე ქვეყნდებოდა, ასევე წერილობით მიეწოდებოდა პარლამენტს და წარედგინებოდა კომიტეტების სხდომებზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დეტალურად გააანალიზა და ვრცელი შენიშვნები წარადგინა ისეთ მნიშვნელოვან კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტებზე, როგორებიცაა: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საქართველოს კანონი „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“, „პოლიციის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“.

საპარლამენტო ოფისის დახმარებით ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად ესწრებოდნენ საკომიტეტო მოსმენებს და სამუშაო რეჟიმში მონაწილეობდნენ სხვადასხვა კანონპროექტის განხილვაში.



- მოკლე ტექსტური შეტყობინებები:

  ორგანიზაცია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეების შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას მოკლე ტექსტური შეტყობინებების გზით, ქართულ და ინგლისურ ენებზე აწვდიდა. ამ სერვისით 400-ზე მეტი მომხმარებელი სარგებლობდა. მათ შორის იყვნენ არასამთავრობო სექტორის, დიპლომატიური კორპუსისა და მასმედიის წარმომადგენლები, სტუდენტები და სხვა აქტიური მოქალაქეები.

- ყოველკვირეული პოდკასტი:

  ორგანიზაცია წერდა საპარლამენტო ყოველკვირეულ აუდიოპოდკასტს (http://transparency.ge/podcast/), რომელშიც მისი თანამშრომლები მიმდინარე კვირაში პარლამენტისთვის აქტუალურ საკითხებს განიხილავდნენ და კანონპროექტებზე მსჯელობდნენ. პოდკასტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე ქვეყნდებოდა და სოციალური ქსელების მეშვეობით ვრცელდებოდა.

- საკანონმდებლო წინადადებები:

  პარლამენტს წარედგინა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ორი საკანონმდებლო წინადადება: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ შესატანი ცვლილებები (17.09.2013) და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები (09.10.2013), ხოლო მის მიერვე მომზადებული ანტიმონოპოლიური რეფორმის პროექტი (კანონპროექტი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“) პარლამენტს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარედგინება.

- პარლამენტის წევრთა საქმიანობის კონტროლი:

  ორგანიზაციამ თავისი რეგიონული ოფისების დახმარებით იმერეთის, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების 27 მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს საქმიანობა შეაფასა, რის შედეგადაც რამდენიმე ბლოგპოსტი დაიწერა. აღსანიშნავია შემდეგი ბლოგპოსტები: „ერევა თუ არა ეკა ბესელია თვითმმართველი ქალაქ ფოთის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებში?“ (http://goo.gl/HwRRHu); „ზუგდიდის საკრებულო და მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო – გამჭვირვალობის პრობლემები“ (http://goo.gl/PEqYM9); „რამდენად ეფექტურად მუშაობენ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროები სამეგრელო-ზემო სვანეთში“ (http://goo.gl/Ucj1kw). „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გეგმავს, აღნიშნული მასშტაბი გააფართოოს და პერიოდულად შეაფასოს ყველა მაჟორიტარი პარლამენტის წევრის საქმიანობა. ორგანიზაცია ასევე თვალყურს ადევნებს როგორც პარლამენტის, ისე ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას. ამ კუთხით განხორციელებული ერთ-ერთი აქტივობა მარიამ საჯაიას მიერ პარლამენტის სხდომებზე დაუსწრებლობის საკითხის შესწავლა იყო (http://goo.gl/jrE43m).

- პარლამენტის წევრთა ბიზნესკავშირები:

ორგანიზაციამ კვლევა ჩაატარა და იმ პარლამენტის წევრთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც სხვადასხვა კომპანიასთან არიან დაკავშირებული (http://goo.gl/dDTVNa). „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აღმოაჩინა სულ ცოტა 36 პარლამენტის წევრი, რომელთაც ერთ კომპანიასთან მაინც აქვთ კავშირი (10 პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ და 26 − „ქართული ოცნებიდან“).

- პარლამენტის მუშაობის ანგარიში:

2013 წლის ბოლოს ორგანიზაციამ დაიწყო მერვე მოწვევის პარლამენტის ერთწლიანი მუშაობის შედეგების კვლევა, რომელშიც ასახული იქნება როგორც მიღებული კანონპროექტების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, ისე ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ განხორციელებული აქტივობები და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გეგმავს, მომავალში პარლამენტის მუშაობა ყოველი სესიის ბოლოს შეაფასოს.

- საპარლამენტო ვებგვერდი:

ორგანიზაციამ შექმნა საპარლამენტო ინტერნეტპორტალი − chemiparlamenti.ge, რომელზედაც თავმოყრილია პარლამენტის მუშაობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, კერძოდ, მონაცემები პარლამენტის წევრების, მათი შემოსავლების და კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ. ვებგვერდის მეშვეობით ნებისმიერ მსურველს შეუძლია პარლამენტის წევრისთვის კითხვის დასმა. ვებგვერდზე ასევე თავსდება „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაწერილი ბლოგპოსტები და გაკეთებული განცხადებები, აუდიოპოდკასტები, გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები. ვებგვერდი ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია და სრული დატვირთვით უახლოეს მომავალში ამუშავდება.

- პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში აქტიურობა:

ორგანიზაციის ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კანონმდებლობის დახვეწისპროცესშიდამნიშვნელოვანიწვლილიშეიტანესისეთისაკანონმდებლოცვლილებებისპროექტებისმომზადებაში, როგორებიცაა: ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული, წინასაარჩევნოდ საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები, ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში, ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები (ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით).

- საპარლამენტო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა:

ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ იმ საპარლამენტო კომისიების მუშაობაში, რომლებიც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებობს: 1. კომისია, რომელიც სათამაშო ბიზნესის რეგულაციების რეფორმის პროექტზე მუშაობს; 2. კომისია, რომელიც საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა საზოგადოებრივ დამცველს კონკურსის წესით შეარჩევს; 3. კომისია, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს კონკურსის წესით შეარჩევს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე თანამშრომლობდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიასთან. გამოძიების პროცესში დროებითი საგამოძიებო კომისიის წინაშე მოწმედ წარდგა ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ კვლევებზე დაყრდნობით კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა შეაფასა.

ორგანიზაცია იყო „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (№07-3/106, 13.06.2013), „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტისა (№07-3/107, 13.06.2013) და „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის (№07-3/108, 13.06.2013) გამოქვეყნებისა და მათი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრიც.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საპარლამენტო ოფისის ფარგლებში სტაჟირების პროგრამა ხორციელდება. 2013 წელს ამ პროგრამისთვის კანდიდატები შეირჩნენ როგორც საგაზაფხულო, ისე საშემოდგომო სესიის პერიოდში. სტაჟიორები აქტიურად ესწრებოდნენ პარლამენტის სხდომებს, ამუშავებდნენ კანონპროექტებს, სწავლობდნენ პარლამენტის საქმიანობის სპეციფიკას და მონაწილეობდნენ ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისის მუშაობაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აპირებს, კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელოს მუშაობა საქართველოს პარლამენტში, მონაწილეობა მიიღოს საკანონმდებლო პროცესში და განახორციელოს პარლამენტის საქმიანობისა და გამჭვირვალობის ხელშემწყობი ღონისძიებები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დონორები 2013 წელს

1. შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (Sida)
2. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID)
3. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID)
4. საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX)/USAID
5. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
6. შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოლკე ბერნადოტეს სახელობის აკადემია (FBA)
7. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – სლოვაკეთი“ სლოვაკეთის დახმარების (Slovak Aid) მხარდაჭერით
8. საერთაშორისო გამჭვირვალობის სამდივნო
9. ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტო
10. ევროკომისია DEVCO

ფინანსური ანგარიში

გრაფიკი I დანახარჯები (ლარში)



გრაფიკი II დონორები



გრაფიკი III შემოსავლები წლების მიხედვით (ლარში)



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

თბილისი
2014